ეროვნული
ბიბლიოთეკა

619
1959



# დროშა

№ 3 მარტი 1959

ეროვნული ბიბლიოთეკა





მალე ეს მონუმენტალური ფიგურა აღიმართება მეტეხის ციხესთან. მისი ავტორია ახალგაზრდა მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელი. (იხილეთ წერილი „ნიჭი და ენერგია“).

# დროშა

№ 3 (92) მარტი, 1959 წ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

გამოცემის VIII წელი.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი



ეროვნული ბიბლიოთეკა

7785




თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის კოლექტივმა ვალდებულება აიღო 6 წელში შეასრულოს 7 წლიანი გეგმა.

ფოტოზე: ფაბრიკის მოწინავე მუშა ქალები — სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ც. ქურციკიძე (მარჯვნივ) და ძ. სილაგაძე სამღებრო საამქროში.



# ᲓᲘᲓᲘ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲘ

**მ. მელითაური**

„სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრების“ იმ თავში, სადაც საქართველოს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებაზეა ლაპარაკი, ერთი სტრიქონი წერია:

„მანქანათმშენებლობის დარგებიდან ყველაზე მეტად განვითარდება ელექტროტექნიკური მრეწველობა და ხელსაწყოების მშენებლობა“.

თითქოს ზოგადი და კონკრეტულობას მოკლებული სიტყვებია, მაგრამ ამ სიტყვებს იქით მრავალი ათასეული ადამიანის — მგეგმავების და ეკონომისტების, დამპროექტებლების და ინჟინრების, მუშებისა და ტექნიკოსების დიდი დაძაბული შრომაა, შრომა რომელმაც საშუალება მისცა ჩვენს პარტიასა და მთავრობას გაბედულად ჩაწეროს გეგმაში ეს სტრიქონი და დარწმუნებული იყოს, რომ იგი აუცილებლად იქნება განხორციელებული.

იმ დიდმა და დაძაბულმა მუშაობამ, რომელიც საგეგმო და საპროექტო, პარტიულ და საბჭოთა, სამეცნიერო და საკვლევო დაწესებულებებში თითქოს შეუმჩნევლად მიდიოდა, ახლა ნაყოფი გამოიღო და, თუმცა გაშლილი კომუნისტური მშენებლობის შვიდწლედი სულ ორიოდე თვეა, რაც დაიწყო, შვიდწლედის პირველი წლის გაზაფხულზე ჩვენ უკვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს ელექტროტექნიკური მრეწველობა და ხელსაწყომშენებლობა უკვე არსებობს და იმ ოცდაორი ქარხნიდან, რომელთა აგება და ამუშავება განზრახულია შვიდწლედის განმავლობაში, ზოგი უკვე ჩადგა მომქმედ საწარმოთა მწყობრში და კიდევაც დაიწყო პროდუქციის გამოშვება. ამას წინათ გაზეთში გამოქვეყნდა ცნობა თბილისში ტექნიკური ქვის — აგატის ქარხნის ამუშავების შესახებ. აგატი მეტად მაგარი მინერალია, რომელსაც ზუსტ ხელსაწყოებში, მათ შორის—საათებში და საზომ ხელსაწყოებში ხმარობენ. იგი მეტად ძნელად იცვითება და დიდხანს ძლებს, მაგრამ სამაგიეროდ ასევე ძნელია მისი გათლა-დამუშავება. საქართველოში მოპოვებული აგატი საბჭოთა კავშირის საათის ქარხნებში იგზავნებოდა. ეს სულ ორი წლის წინათ იყო... იმ დროისათვის, როდესაც თბილისში პირველი დაზგები დაიდგა და აგატის პირველი პარტიები მოიტანეს დასამუშავებლად — დაზგებთან უკვე გამოცდილი ოსტატები დადგნენ, რომელთაც პენზის და რუსეთის სხვა ქარხნებში ისწავლეს და აითვისეს ამ ქვის დამუშავების ტექნიკა და ეს მათთვის უკვე ნაცნობი საქმე იყო...

ტექნიკური ქვის ქარხანა მხოლოდ ერთ-ერთი დამხმარე ქარხანათაგანია, რომელიც პროდუქციას მიაწვდის სხვა ელექტროტექნიკურ და ხელსაწყოთმშენებელ ქარხნებს. ასეთები კი ოცამდეა — ზოგი მათგანი ახლა იგება, ზოგმა უკვე პროდუქცია გამოუშვა, რომლის საერთო ღირებულება 188 მილიონ მანეთს შეადგენს, ხოლო როდესაც ყველა ქარხანა მწყობრში ჩადგება ისინი 11-ჯერ მეტ პროდუქციას გამოუშვებენ ვიდრე ახლა და ამ პროდუქციის ღირებულება 1,5 მილიარდ მანეთს შეადგენს.

ახალი ქარხნები მასიურად გამოუშვებენ 45 სახის პროდუქციას, თანაც ისეთს, რომელიც მანამდე საქართველოში არასოდეს დამზადებულა. გამოუშვებენ — ელექტროშემდუღებელ ავტომატებს, ელექტროვიბრაციულ მანქანებს, სხვადასხვა ტიპის მცირე ზომის ელექტროძრავებს, ელექტროკარებს; საყოფაცხოვრებო მანქანებს — სარეცხ მანქანებს, მტვერის მსრუტავებს, ვენტილატორებს; ხელსაწყოთმშენებელი ქარხნები — ურთულეს ავტომატურ ხელსაწყოებს — სისწრაფის მზომებს, ფერის მზომებს.

ყველა ამ ხელსაწყოებსა და მანქანებს ახალი საქარხნო მარკები ექნება — თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, სტალინირის, ზესტაფონის, გორის, ფოთის და საქართველოს სხვა ქალაქების მარკები.

ახალ მარკებთან ერთად საქართველოს მრეწველობამ მუშათა ახალი კადრები შეიძინა — რუსეთისა და უკრაინის ფაბრიკა-ქარხნებში გაიარეს პრაქტიკა და სამშობლოში დაბრუნდა მრავალი ახალგაზრდა.

მზია პანტურია, არმავირის ელექტროტექნიკურ ქარხანაში სწავლობდა „მცირე ძრავების“ აწყობას და ახლა წარმატებით მუშაობს თბილისის ახალ ქარხანაში „მიკროძრავი“, რომელმაც წელს უკვე 20.000 ძრავი უნდა გამოუშვას, ხოლო 1965 წელს — ნახევარ მილიონზე მეტი...

ზესტაფონის ქარხანაში „საქართველოს კაბელი“ — დაბრუნდნენ უკრაინიდან ზაურ შეყრილაძე, თემურ ბუხნიკაშვილი და შოთა ქურციკიძე და ყვირილის ნაპირზე გადაჭიმულ ქარხნის ახალ კორპუსებში გულმოდგინედ ეუფლებიან მეტად რთულსა და ძნელ საქმეს — ქართული კაბელის ტექნოლოგიას. მათი ხელმძღვანელები — ინჟინრები რევაზ ჯულელი და გივი კარანაძე, — მათთან ერთად ითვისებდნენ ახალ საქმეს და მათთან ერთად ხელოვნდებიან.

ლენინგრადის ქარხანაში — „ელექტრიკში“ — სწავლობდნენ ელექტროშემდუღებელი ავტომატების დამზადებას თბილისის ელექტროშემდუღებელი აპარატურის ქარხნის 45 მომავალი მუშა და ინჟინრები ს. კორინთელი და კ. მურღულია — დღეს ისინი უკვე თვითონ უდგანან სათავეში წარმოებას და უკვე წელს ელექტროშემდუღებელი მოწყობილობის 650 კომპლექტი უნდა გაუშვან მექანიკურ და ელექტრონული ხელსაწყოების ქარხანაში.

„თბილხელსაწყო“-ში უკვე ააწყეს სიჩქარის მზომი აპარატის პირველი ნიმუშები, და საშუალო სკოლის გუშინდელი მოწაფეები ლიანა მეკოკიშვილი და ნანა კაპანაძე სიამაყის გრძნობით შესცქერიან გამოსაცდელ სტენდებზე დადგმულ თბილისის მარკის 25 სიჩქარის მზომს, რომელსაც მოუთმენლად მოელიან ნოვოჩერკასკისა და ლუგანსკის თბომავალმშენებლები.

სტალინირის ელექტროვიბრაციული მანქანების ქარხანაში — „ელექტროვიბრომანქანა“, უკვე დამზადებულია პირველი ვიბრაციული. მანქანები, რომელსაც ელოდება ჩვენი სამთამადნო და მეტალურგიული მრეწველობა, იქვე სტალინირის მეორე ახალ ქარხანაში — „ემალმართული“ — ჩქარობენ რომ ახალი პროდუქცია მიაწოდონ და არ შეაფერხონ სხვა ქარხნების მუშაობა. ქუთაისში, გორში, ბათუმში ყველგან, გაცხოველებული მუშაობაა, რომ წელსვე მისცენ ქვეყანას პირველი პროდუქცია, ყველა ქარხანა სპეციალიზებულია — ერთსა ან რამდენიმე სახის მანქანებს უშვებს, მაგრამ ერთი რამაა ყველასთვის დამახასიათებელი — ყველგან ახალგაზრდობაა, ის გუშინ სკოლადამთავრებული ახალგაზრდებია, რომელნიც დღეს უკვე კვალიფიციური მუშები არიან. ცოდნა და ცოდნის წადილი, ახალგაზრდული ხალისი ხელს უწყობს მათ ურთულესი პროფესიების ათვისებაში. ისინი უკვე ახალი თაობის მუშები არიან — კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პირველი წლის გაწვევის მუშები, და ყოველივე ეს მხოლოდ ერთი სტრიქონია დიდი მშენებლობის გეგმისა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკ. ტიხონოვი

(ნაწყვეტი პოემიდან „სერგო მთებში“)

თარგმნა კარლო კალაძემ

დაეხეტება ქარბუქი
ქისტების ბედკრულ მხარეში,
მთებს გაწამებულ სულს
უფრთხობს
მისი ველური თარეში!
თოვლს მაღალ ციცაბოებზე
აგროვებს დაუნდობელი,
რომ უცებ ზვავით დამარხოს
მიძინებული სოფელი...

დაეხეტება ავდარი
შმაგი და ქარიშხლიანი,
კლდეების კვნესა გაისმის,
კლდეების ძვლების ჟრიალი!
თან ჩაიტანეს უფსკრულში
ტყე მოხეთქილმა ლოდებმა
და გაჰყვა ულრან ხეობებს
ცისა და მიწის გოდება!

იქნებ ეს არის ბუკის ხმა
და არა რისხვა ქარისა,
იქნებ ეს მხოლოდ ბოლმაა
ხმლით თავგაჩეხილ ხარისა.
იქნებ ქისტია ბეჩავი
და ძმადნაფიცი კაზაკის,
სოფლიდან, სოფლად ღამეში
თავის ძმადნაფიცს გასძახის!

ქარმა გადასჭრა თარგიმი
და ჰაირახი მაღალი,
რომ გააგონოს ღამეებს,
დღისით რაც მოხდა ახალი.
და შორი კოშკის ქონგურებს
მოაწყდა სუნთქვა ქარისა,
შინაურივით გაალო
მძიმე ურდული კარისა.

რა უნდა ეთქვა, რა იყო
ამ ქვეყნად გასახარისი?!
და აქ მით უფრო... უეცრად
გასწყვიტა სიტყვა თავისი.
...ვაი, რა ტირილს შეესწრო,
ქვებსაც კი გული უტირის, —
წევს ბუტირინი ნაბადზე
და სუნთქვა უმძიმს ბუტირინს!

წევს ბუტირინი, და მაინც
მამაცი კომისარია, —
ფერმიხდილ შუბლს რომ აშუქებს
მხოლოდღა ცეცხლის ალია!
წევს კომისარი და იწვის
თვალები მომაკვდავისა,
უკვე ჩაწყვეტილ სიმივით
უფეთქავს ძარღვი მკლავისა!

უკვე შორს წასულ ფიქრებში
სიზმარი სიზმარს ჩააქსოვს,
და ისევ ბრძოლის ველზეა,
ბრძოლების მეტი რა ახსოვს!
სად აშრიალდა სიმინდი?
ნუთუ ეს მისი ცხენია?!
ცხენს დაუქირა უზანგი,
უზანგი სისხლით სველია.

მოახტა მაინც უნაგირს,
უნდა ძირს აღარ დაეცეს; —
ხელში შიშველი ხმალი აქვს,
გაქცეულ მკვლელებს დაეძებს!

ტყვია თვალსა და თვალს შუა
მოხვდა მას. მაგრამ წესია
და ვაჟკაცური ღიმილით
შედგა, არ დაუკვნესია.

ო, არა, შუბლი კი არა,
გაუპეს გულისფიცარი...
თუმცა რუსია — ქისტებთან
არის ძმად შენაფიცარი! —
„რაა ეს, გულო, ქუდმოხდით
თავს რად გადგანან ქისტები,
იქნებ ლხინია, ლუდის სმა,
შესვი და გახალისდები!

მაგრამ ეს რაა, რად ფარავს
თვალებს ნაფლეთი ღრუბლისა,
რა ცივმა ცვარმა დანამა
პიტალო შენი შუბლისა!
ღამდება, ალბათ, ღამდება
და ნაკვერცხლებიც ქრებიან...
კარს მაინც ვინ-ღა მოადგა,
ვისი მაღალი მხრებია!

სად გარბის ცხენი უბელო,
და ცხენი უნაგრიანი?!
ცხარე ბრძოლაა, კიჟინი
და შიშველ ხმლების ტრიალი!
ცხენდაცხენ მეფის ოფიცრებს
შეებნენ გაბედულები, —
ქუდებით ამოუტენეს
იმათ ზარბაზნებს ლულები!...“

არა, შუადღე ყოფილა,
და ბუტირინიც მხნედ არი,
დგას, ვაჟკაცურად უკოცნის
მკერდს ვილაც ქისტი მხედარი.

ბრძოლაა, ისევ ბრძოლაა,
ზეცას ანათებს ხანძარი,
ქალაქი ვლადიკავკასი
თითქოს არის, და არც არი!

თოვლია, ისევ, ქარბუქით
მიმორბეული გზებია,
ცრემლით და სისხლით ბუტირინს
თვალები ამოვსებია...
ხმალს ეძებს, ხმალი არა აქვს,
ძალა არ შესწევს დგომისა,
მწუხარედ შემოსცქერიან
ქისტები თავის კომისარს.

და კომისარიც შეჰყურებს
ყველას გულ-გაცეცხლებული,
ხედავს, თუ როგორ დასტირის
მკვდარს ვაჟკაცების კრებული.
ხედავს, რომ უკვე გორაკზე
ახალი ნიშის ქვა არის, —
ვაჟკაცი იყო, ღირსია
ხანჯლით გაჭრილი სამარის!

ხვალ წავა მთებში ამბავი,
ხვალ აქ არავინ იქნება,
ახლა კი, ახლა ტკივილით
ხორცი და ძვალი იღლება!
აქ ახლა ცეცხლის ლადარი
შემკრთალ სახეებს ანათებს,
ძირს დაუხრიათ მხარ-ბეჭი
ქისტებს მთებივით ტანადებს...

ამ შავ-შავ თვალებს, შავ ხანჯლებს
აქვთ მუდამ ერთი ბუნება:
უსიტყვო ჯავრი იციან
და არა დაძაბუნება!



წევს ბუტირინი, უსიტყვოდ,
პირს ნათელ გადაფენილი
და ელანდება საწუთრო,
ერთ წამში გადარბენილი.

უცებ სურს ამოიკითხოს
თვალების ვიწრო გახელით:
—„ნეტავ თუ მოგვიგონებენ,
გულო, კეთილი სახელით!
გულო, წუხილიც ხომ გესმის
ძმადნაფიც მთიელებისა,
არის მწუხარე დუმილი
ნიშანი ძლიერებისა.

რუსი კაზაკის გული ხარ
მთისა და ბარის ძმობილი,
მთისა და ბარის სისხლიან
ქარცეცხლში გადადნობილი!...“
და უცებ დაჭრილ კომისრის
ბრძანებაც კაზაკურია:
— აბა, მომყევით! — იძახის,
დგება და ბრძოლა წყურია.

ფერდაკარგულმა ამაოდ
აასავსავა ხელები, —
— ცხენები! — გასცა ბრძანება,
მაგრამ სადღაა ცხენები?!
ცხენების ნაცვლად ღამეში
გადიგრიალეს ქარებმა...
— დამშვიდდი, ბიჭო,
დამშვიდდი! —
თხოვს სერგო, ემუდარება.

გულს ჩაუნათა ღიმილი,
ცრემლი კი აღარ აჩვენა,
თავქვეშ დაუდო სასთუმლად
მოსიყვარულე მარჯვენა.
და ბუტირინი მეგობარს
ულონოდ გადაეკონა, —
— ნუთუ ეს იყო სიზმარი,
ბიჭო, მე ცხადი მეგონა!.

ხვალ, როცა მთების კალთებზე
შეიყრებიან ჩვენები,
როცა მე იმათ ვერ ვნახავ,
ვიცი შენ მომეშველები! —
ცალ ხელში ქუდი გექნება,
ცალ ხელში ცხენის სადავე,
და ჩვენ საყვარელ მებრძოლებს
ეტყვი, ხევსურეთს გადავედ!...

ახლა კი ცეცხლთან დამტოვე,
ვგრძნობ აღსასრულიც აქ არი...
დაამედე ბიჭები,
ბეჭებზე ხელი დაჰკარი!
და ბუტირინის მგზნებარე
მზერაც თანდათან დამშვიდდა,
ხელი გადივლო თვალებზე,
მაგრამ ბნელს როგორ წაშლიდა!

ირგვლივ მხოლოდღა სიჩუმე
და მწუხარება მეფობდა.
მთიელებს ერთად გავლილი
ბრძოლები აგონდებოდათ...
წამოდგა სერგო, გაუღო
ბნელს თითქოს განგებ კარები.
ქარმა გაჰყინა უეცრად
ლოყის ნაცრემლი ღარები...

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს იყო 1952 წლის მაისში. წყალტუბოს რაიონის სოფელ ცხუნკურის საშუალო სკოლის ეზოში ფიზკულტურის გაკვეთილი მიმდინარეობდა.

გრუზა, კუნთებით ღონივრად შესკვნილი ჭაბუკი მოპირისპირეს წელში შევარდნოდა, მგლის მუხლი დასძაგროდა, კისრის ძარღვები დაჰბერვოდა, შუბლზე შავი ქოჩორი უწესრიგოდ ჩამოჰყროდა და ასე გახევებულიყო.

— მიდი, გივი, რაღას უცდი, აბა, ერთი შენებური! — ამხნევებდნენ თანაკლასელები.

უცებ ჭაბუკი ელვის სისწრაფით შეტრიალდა, მკლავებში ჩაკეტილ მოწინააღმდეგეს ძლიერი სარმა გამოჰკრა და ნახერხით მოყრილ მიწაზე დაანარცხა. განიერი მკერდით ზედ დააწვა და ორივე ბეჭი თითქოს ლურსმნებით მიწაზე მიუჭედა. იმავ წუთს, საერთო ჟრიამულში, მსაჯის სასტვენის ხმაც გაისმა.

ჭიდაობაში გივის მჯობნი აღარავინ იყო. ოცი წლის ჭაბუკი ოთხმოცდაათ კილოგრამს იწონიდა, ერთი მეტრისა და სამოცდაჩვიდმეტი სანტიმეტრის სიმაღლისა იყო, რკინის ხელკეტებს ადვილად ღუნავდა, ბარითა და თოხით მუშაობაში ხომ ტოლი აღარ ჰყავდა.

— ასე, ჩემო კარგო! ეგეთი სახელი ფიზკულტურის ინსტიტუტში შესასვლელ გამოცდებზეც გენახოს! — მიულოცა სუფთა გამარჯვება ჭიდაობაში მასწავლებელმა, მაგრამ გივი ფიზკულტურის ინსტიტუტში არ შედიოდა, ბავშვობიდანვე გული შახტისკენ მიუწევდა, სამთო-საინჟინერო აინტერესებდა.

* * *

...თავაუღებელ მეცადინეობაში ზაფხული შეუმჩნევლად მიილია.

ასი წლის კოწია ჩიხლაძემ და მისმა თითქმის ას წელს მიღწეულმა თანამეცხედრემ, ტასომ, თავიანთ შვილიშვილს საგზალი გაუმზადეს, სოფლის ბოლომდე გააცილეს, ათასნაირი დარიგებით ყური გამოუჭედეს და გზა დაულოცეს.

იგი ახლა თბილისში კი არ მიემგზავრებოდა, სამთო-საინჟინეროზე ჩასარიცხად, როგორც გადაწყვეტილი ჰქონდა. გივი ქუთაისში დაიბადა. დაწყებითი განათლებაც აქ მიიღო, აქა ჰყავდა დედმამა, ოთხი ძმა და სამი და. რვა წვრილი შვილის პატრონმა მამამ, გიორგიმ, გივი თავის დროზე აღსაზრდელად სოფელში გაგზავნა. ახლაც, ხელმოკლეობის გამო, ჭაბუკი ქუთაისის პედინსტიტუტს უნდა დასჯერებოდა, თბილისში სწავლის გაგრძელებაზე უნებლიეთ ხელი უნდა აეღო.

...ინსტიტუტის გრძელ დერეფანში ტევა აღარ იყო. დასიცხულ დარბაზებიდან ბევრი გახარებული და სახეგაბრწყინებული გამოდიოდა, ზოგიც დაღვრემილი, გაფითრებული და ცრემლმორეულიც.

ტანბრგე გივი ხან ერთ ჯგუფს მიეკედლებოდა, ხან მეორეს. უფრო მეტად სხვას უსმენდა, თვითონ ენაძუნწობდა, ბუნებით წყნარი და აუჩქარებელი.

წერითი გამოცდის დღე დადგა. მხრებაჩეჩილი გივი მოწყენილი იდგა, ამხანაგები ფუტკარივით ეხვიენ. ჭაბუკს ლაწვებზე სისხლი მისძალებოდა. ხმადაბლა, დამშვიდებითა და ნელ-ნელა ამბობდა:

— ისე ვერ დავწერე, როგორც მინდოდა და როგორც, მე მგონი, შემეძლო!

ყველამ კარგად გაიგო, თუ რას ნიშნავდა ეს. ცნობისმოყვარე გოგონები მაშინვე გაეცალნენ და მთელ დერეფანში გამოაცხადეს:

— გივი ჩიხლაძეს წერაში სამიანი მიუღია! გათავდა, აქამდე კარგად მოდიოდი, ახლა კი ფეხი წაიტეხაო!

* * *

მატარებელი გრიალით მიჰქროდა ენგურის ხიდზე. ცნობისმოყვარე ჭაბუკს თავი ფანჯრიდან გამოეყო. ამ მხარეში პირველად იყო. ხიდის თავთან, რომელიღაც სკოლის დიდ ეზოში, მოწაფეები ჟრიამულით ირეოდნენ. მატარებელმა რომ ჩაიარა, აქეთ მოაწყდნენ და ხელი დაუქნიეს. ნაღვლიანი თვალები გააყოლა მათ ჭაბუკმა. მეცადინეობა უკვე დაწყებულიყო. ის კი სასწავლებლის გარეთ დარჩენილიყო.

დამაყრუებლად რაზრაზებდა რკინის ვეება ხიდი, ქვევით ლილისფერი გიჟმაჟი ენგური აქაფებულიყო, ჭალები რიყის ქვებით გადახერგილიყო.

ფიქრს წაელო ტყვარჩელის შახტებში სამუშაოდ მიმავალი სოფლის ფალავანი. დრო არ დაუკარგავს, რაკი პედინსტიტუტში არ მიიღეს, მეშახტეთა ქალაქს მიაშურა. მოხუცების, პაპისა და ბებიას სახე ედგა თვალწინ, ძლივს შახტში წასვლის ნებართვა რომ გამოთხოვა.

...ისევ არაზრაზდა ბორბლები რკინის ხიდზე. გაიხედა გივიმ, ქვეშ კუპრივით შავი ღალიძგა მიფუხფუხებდა. გამოცოცხლება დაეტყო ჭაბუკს. წყალი ნახშირით იყო შეღებილი... უცებ ტყიდან ლურჯად მოღაღანე ზღვამ გამოიხედა, მაგრამ მატარებელმა სანაპიროს თავი ანება და ლილისფრად მოკიაფე კავკასიონის კალთებისკენ ისარივით გაემართა. გვერდით მიჰქროდნენ ჩაის მწვანე პლანტაციები, სიმინდის ყანები, აქოჩრილი ტყეები, ზლაზნვით ახლოვდებოდნენ თოვლით შელესილი მწვერვალები.

მატარებელი ღალიძგის დალეწილ ვიწრო ხეობაში შეიჭრა. ჩამორღვეულ და ჩამოზვავებულ ციცაბოებზე ყომრალი კვამლი დაფორთხავდა. იმ

კვამლს თითქოს მთებიც შეეტრუსა და შეერუჯა, მწვანე ტყე გაემუქებია, ცაში ღრუბელივით გაწოლილიყო. ვაგონები გასცდნენ უკანასკნელ მოსახვევს და ერთბაშად თვალწინ მრავალსართულიანი კორპუსებით გაჭედილი ხეობა გადაიშალა. ზედ სადგურთან თბოელექტროცენტრალის ნაცრისფერი ვეება შენობა წამოჭიმულიყო. მაღლა აწვდილ ხუთ მილს ცისთვის ხუთი ვეება სვეტი შეედგა. გვერდით ნახშირის გამამდიდრებელი მრავალსართულიანი ფაბრიკა დგანდგარებდა და რახრახებდა. ცა საბაგირო გზის ფოლადის თოკებით იყო დასერილი. ნახშირით სავსე ვაგონები იმ საჰაერო გზით ფაბრიკისკენ მოსრიალებდნენ. გრიალით იყრებოდა ნახშირი ბუღში გახვეულ ბუნკერებში. ღალიძგის გაღმა კონუსისებური მთები ხეობის სიმაღლემდე ამართულიყვნენ. იმ კონუსებზე მცენარის ნატამალიც აღარ ჩანდა. კვამლი ფერდზე შეფენილიყო. ჯერ ნახშირის გორები ეგონა. თურმე წლობით საბაგირო გზით ჰყრიან იქ ნახშირიდან გამოცლილ ქანებს. მთებად დაზვინულან. აქა-იქ ჩარჩენილ ნახშირსაც ცეცხლი თავისით წაჰკიდებია და იწვის.

გაღმა, სანამ თვალი სწვდება, მრავალსართულიანი, თვალწარმტაცი სახლები შეფენილიყვნენ. ქუჩები ხალხით იყო სავსე, დაჰქროდნენ ავტობუსები, მსუბუქი და საბარგო მანქანები. განიერ შარაგზასა და ხიდზე ასფალტს აგებდნენ.

— კარგ ადგილას მოვსულვარ! — მოეწონა გივის, ერთი გამვლელი მორიდებით გააჩერა და კომკავშირის საქალაქო კომიტეტი იკითხა.

* * *

ამ ამბის შემდეგ ექვსმა წელმა განვლო... კომკავშირის კომიტეტი ტყვარჩელში ქალაქის ცენტრში მიმასწავლეს.

— მაშ, თქვენ მოწინავე მეშახტე გნებავთ? წადით მეოთხე შახტში, გივი ჩიხლაძეს გაეცანით!— მეუბნება პირველი მდივანი,—მასთან ერთად მთელი ბრიგადა წარმატებით იბრძვის კომუნისტური შრომის ბრიგადის მაღალი წოდების მოსაპოვებლად, გივი წლობით ახალგაზრდულ კომკავშირულ ბრიგადას ხელმძღვანელობდა, შარშან, როგორც გამოჩენილი ახალგაზრდა, საქართველოს კომკავშირის ცეკას წევრად აირჩიეს, ტულის ოლქში მეშახტეებს ეჯიბრება და გაიმარჯვა კიდეც, საწარმოო დავალებას 140% ასრულებს. ქუთაისის სამთო ტექნიკუმში დაუსწრებლად სწავლობს, ოჯახიც მშვენიერი შექმნა!

მეოთხე შახტამდე შორი გზაა. ტყვარჩელი ხეობაშია გაჭიმული ათ-თორმეტ კილომეტრზე, ღალიძგისა და მისი შენაკადების ნაპირებზე და ოდნავ განზეც, ტყით დაბურულ ფერდებზე. ძირითადად ორი დასახლებული უბნისგან შედგება, ხეობის შესასვლელთან უბანს კვეზანი ეწოდება, ზემოთ კი, სადაც ნახშირის საბადოებია, მთებში, აყარმარა მდებარეობს.

ახლა აქ მრავალსართულიან სახლებს მთების კალთებისთვის თავი მიურტყამთ, სადღა არიან მწყემსები, ჯოგი და ლორთქო ბალახი?

აყარმარიდან ქვანახშირი კვეზანში საბაგირო გზით ჩაჰქონდათ. იმ კლდეებში შარშან რკინიგზის გაყვანა დაუსრულებიათ. სურამის უღელტეხილის დაღმართები სათამაშოებად მოგეჩვენებათ, ისეთ ციცაბოებზე მიგუგუნებს ელმავალი.

მეოთხე შახტი მთა ახიბლარას პლატოზე მდებარეობს, „ახი აბლა“ აფხაზურად ოქროს თვალსა ნიშნავს.

სამანქანო გზა ახიბლარას ციცაბო ფერდზე მიიკლაკნება. ასწლოვანი წაბლით, ცაცხვითა და წიფლით გადაბურულა ხეობა, მარად მწვანე წყავი აქოჩრილა, გაუვალი იელი მიწაზე გაწოლილა და გაჯაგრულა.

აი, პლატოც! უკანასკნელი აღმართი დაუსრულებელი კიბით ავიარეთ. აქ, მწვერვალზე, ბულდოზერებსა და ექსკავატორებს ახიბლარასთვის თავი წაუკვეთიათ, ახლა შიგნეულს მისევიან, ნახშირის გორებს დგამენ, ქვასა და მიწას ზემოდან ხეობაში ჰყრიან. ჰაერში საბაგირო გზაზე, ვაგონები დასრიალებენ. სამი კილომეტრის სიგანის ხეობას ჰკვეთენ და ნახშირს პლატოდან რკინიგზის სადგურზე პირდაპირ ბუნკერებში ჰყრიან.

გივი ჩიხლაძე ჩვენ სწორედ გვირაბთან შემოგვეგება, ქუდზე ელექტრონათურით, ბრეზენტის კოსტუმსა და რეზინის ჩექმებში დინჯად მოაბიჯებდა. სქლად შეზრდილ წარბებს ქვეშ შავი უწყინარი თვალები ცნობისმოყვარებით ციმციმებდნენ, კეთილი ღიმილი დასთამაშებდა სახეზე.

...უკუნი სიბნელეა, ზემოდან წვეთ-წვეთად ჟონავს ნახშირში გაწურული წყალი. ნელ-ნელა მივაბიჯებთ, მიჩხრიალებს ნაკადული, გრიალით ჩაგვივლიან ნახშირით დატვირთული ვაგონები.

გვირაბი თანდათან ვიწროვდება და დაბლდება, მარცხნივ და მარჯვნივ შტოებად იყოფა... წელში მოხრილნი მივფორთხავთ, ბოლოს გაწოლაც ვიკადრეთ. აი, უკვე შიგ, სანგარში ვართ. გივის ისევ უზრუნველი ღიმილი დასთამაშებს სახეზე. თამამად ატრიალებს ხელში ელექტრობურღს, განუწყვეტლივ ისმის ნახშირის ხრაშუნი, შავ კედლებზე შუქი ლიცლიცებს. მიწის ქვეშ, კლდის გულს შესჭიდებია უშიშარი ვაჟკაცი, შპურებს ბურღავს, შრომაში გართულს ხვითქი გადმოსდის სახეზე.

ფორთხვითვე წამოვედით უკან. აფეთქებათა დგანდგარმა გვირაბის კედლები შეარყია. ყრუ ბუბუნი და ზათქი ისმოდა კლდის გულში... მირეჯგვმორეჯგვილ საბადოში ნახშირი დახვავებულიყო. ახლა ნიჩბით ხელში დატრიალდა ერთიანად მტვერში გახვეული გივი... ისევ ჰრიალებდნენ ტრანსპორტიორები, სისინებდნენ ვენტილატორები, გრიალებდნენ მატარებლები... ჩვენ კი ათასჯერ გაწყვეტილ საუბარს განვაგრძობდით:

ჯანსაღი და ღონიერი ვაჟკაცის შახტში მოსვლა ძალიან გაჰხარებოდათ, პირველად გამგორებლად დაენიშნათ აქ გივი, შემდეგ ხე-ტყის მიმწოდებლად, ბოლოს მნგრეველად და ნახშირის დამყრელად. თვიურ გეგმას სისტემატურად 130% ასრულებდა. ხელფასიც სამ ათას მანეთზე ნაკლები ჯერ არ მიუღია. გასული წლის დეკემბერში კომუნისტური შრომის წოდებისათვის მებრძოლი ბრიგადების ჩამოყალიბებას რომ შეუდგნენ, გივი ჩიხლაძე პირველი გამოეხმაურა პატრიოტულ თაოსნობას. ბიჭებმა ყველაფერი წინასწარ იანგარიშეს... ბრიგადის წევრებმა შალოდი ამიჩბამ და ტიგრან ხალოიანმა წინადადება წამოაყენეს ცვლის გეგმის ზევით თვითეულს ორი ტონა ნახშირი დაემზადებია. ივანე ამიჩბამ და ნიკოლოზ მარჩენკომ ხე-ტყის რაციონალური ხარჯვითა და დამხმარე მუშახელის რაოდენობის შეკვეცით ტონა ქვანახშირის ღირებულების შემცირება მოითხოვეს. იური ფედოტოვმა სწავლასა და მეორე პროფესიის დაუფლებაზე გაამახვილა სიტყვა.

აი, ასე დაიბადნენ ნაკისრ ვალდებულებათა საკონტროლო ციფრები.

დიდი ინტერესით გაეცნო ბრიგადა XXI რიგგარეშე პარტყრილობის რეზოლუციას. განსაკუთრებული აღფრთოვანება გამოიწვია რეზოლუციის იმ ნაწილმა, სადაც ლაპარაკია მომავალ შვიდწლედში სამთო-მრეწველობის განვითარებაზე. ახალგაზრდებმა ერთხელ კიდევ გადასინჯეს ნაკისრი ვალდებულებანი.

* * *

მუშაობის შემდეგ, იმ დღეს, გივის შინ ვეწვიეთ. მას მეშახტეთა სახლში კარგი ბინა უჭირავს. სხვათა შორის ეს სახლი უნდა დაანგრიონ, ქვეშ ნახშირია. თავწაკვეთილი ახიბლარა თანდათან ისე დადაბლდება, ბულდოზერები მეშახტეთა სახლამდე ჩამოაღწევენ, მაშინ აქედან აყრა მოუხდებათ. ჯერჯერობით დიასახლისი, ტაისა ილიას ასული ავჩარენკო, სტუმრებს გულუხვად ეპატიჟება. აქ არიან შახტის უფროსი, ინჟინერი ამბროსი ჭრაქაძე, პარტბიუროს მდივანი ოლიფანტე ჭოლარია, პროფკავშირის საშახტო კომიტეტის თავმჯდომარე ალექსანდრე ჭითანავა, შალოდი ამიჩბა, ნიკოლოზ მარჩენკო და ბევრი სხვა. დღეს გივის ბიჭუნას — იურის, სამი წელი შეუსრულდა და მშობლებს ბედნიერებას ულოცავენ. სუფთად წვერმოპარსული ახალთახალ კოსტუმში გამოწყობილი გივი გაბადრული ზის. ჯერ პაპა კონსტანტინესა და ბებია ანასტასიას დეპეშა წაიკითხეს სოფელ ცხუნკურიდან, შემდეგ გიორგის მოსალოცი წერილი ქუთაისიდან, შემდეგ სხვათა...

იმ სასიხარულო საღამოსაც საუბარი ნელ-ნელა კვლავ წარმოების საკითხებს მიუბრუნდა. გასული წლის ოთხი აგვისტო მოიგონეს, დელეგაცია ტულაში რომ გაემგზავრა, შეჯიბრის შედეგების შესაჯამებლად. გივის ბრიგადა ტულაში ტრესტ „კრასნოარმეისკუგოლის“ შახტი № 11 ანდრეი ვასილიევის ბრიგადას ეჯიბრებოდა. შედეგები რომ შეაჯამეს, სასწორი ოდნავ ტყვარჩელისაკენ გადმოიხარა. იმ საღამოს თავისსავე ბინაში, ასეთ ვახშამზე გივიმ მოწყენილ ანდრეი ვასილიევს უკრაინული „ოი, ნე ჟურის, კაზაჩენკო“ უმღერა. ყველას გაეცინა, ძალიან მოიწონეს და გაიკვირვეს კიდეც, სად უნდა ესწავლა ქართველ ვაჟკაცს ასე კარგად უკრაინული სიმღერა? როცა გაიგეს, გივის მასწავლებლად თავისი მეუღლე ჰყავდა, ყველას გაეხარდა და ტაისა ილიას ასულის სადღეგრძელო დალიეს... აი, ეს შემთხვევა მოიგონეს ახლა.

რაკი სიტყვა ტულას შეეხო, რადიო გამორთეს და გივის უკრაინული სიმღერის შესრულება თხოვეს.

...გივის ანდრეი ვასილიევზე მეორედ გამარჯვება უსურვეს, სამთო ფაკულტეტის დამთავრებაც და ოჯახური ბედნიერებაც.

...როცა ჯერი პატარა იურიზე მიდგა, მშობლებს ერთი მოულოდნელი კითხვა დაუსვეს:

— ვინ გინდათ იური გახდეს, დღევანდელი ჩვენი ნორჩი იუბილიარი, როცა ის გაიზრდება?

...არც გივი, არც ტაისა ილიას ასული დიდხანს არ შეყოყმანებულან.

მამა მეშახტე ჰყავს. შახტში, ახიბლარას პლატოზე, დაიბადა. მაშასადამე, იური ჯერ კარგი მეშახტე უნდა დადგეს, მამის მჯობნი, შემდეგ კი სამთო ინჟინერი.

— გაუმარჯოს! — ისმოდა ჟრიამული განიერ ოთახში.

...თოვლით შეფენილი ხოჯალი და აჩირა ღია ფანჯრებში იმზირებოდნენ, შრიალებდა ასწლოვანი წაბლებით, ურთხელითა და ნეკერჩხლებით შეფენილი ფერდი. ახიბლარას ქვემოთ, ღალიძგის ნაპირზე, გორებად დაყრილი ჩირაღდნები თვალისმომჭრელად ლაღლაჟებდნენ.

**მოსე გვასალია**





სამუშაოდ მიეშურება მებაღეობა-მევენახეობის ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტი ა. კაცობაშვილი.



სასწავლო მეურნეობის კლუბში მარქსიზმ-ლენინიზმის ლექტორი ი. ჩხარტიშვილი ლექციას უკითხავს სტუდენტებს.

# დილით



სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე გ. ყანჩაველი (მარჯვნივ) და სასწავლო მეურნეობის მთავარი აგრონომი ს. კვანტალიანი.

ვინ — ვის!





პირველი ხელფასი.



სულ სხვაა, როდესაც ლექტორი პირდაპირ ვენახში გიხსნის ვაზის მოვლის საიდუმლოებას.

**სურათზე**: პროფესორი ვ. ქანთარია ვენახში თავის სტუდენტებთან ერთად.



სასწავლო მეურნეობის სასადილოში შეიძლება სულ იაფად და კარგად დანაყრდე.


ეროვნული ბიბლიოთეკა

სამუშაო დღე დამთავრდა. სტუდენტი ლ. შენგელია ემზადება კლუბში წასასვლელად.

# მეურნეობაში

ამას წინათ, დილმის საბჭოთა მეურნეობა, თავისი საცხოვრებელი სახლებით, კლუბითა და მაღაზიებით, ბიბლიოთეკითა და ჯანმრთელობის პუნქტით, მთლიანად გადაეცა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს. მეურნეობის 227 მუშა შესცვალეს 1-4 კურსის სტუდენტებმა. დანარჩენი მუშები კი მანამდეც სწავლობდნენ ინსტიტუტის დაუსწრებელ განყოფილებაზე. ამჟამად, მეურნეობაში შენდება სასწავლო და საცხოვრებელი სახლები, აქ ისწავლის ინსტიტუტის მთელი 5.000-ანი კოლექტივი. სასწავლო მეურნეობას ხელმძღვანელობს ძველი, გამოცდილი მევენახე პეტრე სოხაძე.



ეს ჩვენ ვართ, მომავალი აგრონომები!

დილმის სასწავლო მეურნეობის საცხოვრებელი სახლები.



# აფთიაქი ყოველთვის ღიაა

ქ. ნალასყურელი

როდესაც ესმა ნადირაშვილმა თბილისის ფარმაცევტული ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ პროვიზორის წოდება მიიღო და სამშობლო სოფელ ვაზისუბანში დაბრუნდა, სოფლის აფთიაქში მრავალთეულ წლობით ნამუშევარი, გამოცდილი ფარმაცევტი ალექსი მიქაშავიძე მუშაობდა.

მეტად შორეულ მოგონებებსაც რომ არ შევუდგეთ, სულ ოცი — თუ ოცდაათიოდე წლით უკან რომ დავიხიოთ და გავიხსენოთ, თუ ვინ იყო სოფლისათვის პროვიზორი, როგორი ავტორიტეტით სარგებლობდა იგი ყოველგვარ სამკურნალო საქმეებში და ისიც გავითვალისწინოთ, რომ სოფელში ცხოვრებისა და მუშაობის მრავალი ათეული წლების განმავლობაში იგი ათასგვარი ძაფებით იყო დაკავშირებული მოსახლეობასთან, ადვილად წარმოვიდგენთ თუ რა დაბრკოლებები, რა ბუნებრივი და სავსებით გასაგები წინააღმდეგობა და უნდობლობა უნდა გადაელახა ახალგაზრდა ადამიანს, რომ დაემსახურებინა ნდობა და პატივისცემა, ურომლისოდაც მუშაობა საერთოდ არც ერთ დარგში არ შეიძლება, ხოლო ასეთ საქმეში— კი როგორც ექიმობა და პროვიზორობაა — შეუძლებელი და წარმოუდგენელია.

იმ პირველ დღეს, როდესაც პენსიაზე გასულმა ალექსი მიქაშავიძემ ჩააბარა აფთიაქი, ხოლო ვაზისუბნის სოფლის აფთიაქის გამგემ ესმა ნადირაშვილმა ხელი მოაწერა აფთიაქის ჩაბარების აქტს, იმ დღეს ესმას ძალაუნებურად აუთრთოლდა ხელი, როდესაც პირველი რეცეპტი მიიღო და საასისტენტო მაგიდასთან დადგა.

რაღაც, სულ უბრალო წამლის შემადგენელ ნაწილთა აწონვას შეუდგა საფთიაქო სასწორით. წონიდა ისე, როგორც პრაქტიკულ მეცადინეობაზე — ყველა წესის დაცვით, სუნთქვა შეკრული და დაძაბული. იმ წუთებში მისი აზრი და მთელი მისი სულიერი ძალები აქეთ იყო მიმართული — უნდოდა ზედმიწევნით ზუსტად შეესრულებინა რეცეპტის მოთხოვნილება.

წამალი უკვე აწონილი და შემზადებული იყო, როდესაც უეცარმა აზრმა ელექტრონის ნაპერწკალივით გაჰკრა ისედაც დაძაბულ გონებას: — კი, მაგრამ, პროვიზორი ხომ მხოლოდ ბრმა შემსრულებელი არ არის ექიმის რეცეპტისა — მან ხომ თვითონ უნდა შეამოწმოს წამლის შემადგენელ ნაწილთა დოზირება... ხომ, შეიძლება, ექიმს შეეშალოს! ესმა დააკვირდა რეცეპტს — არა, ყველაფერი თავის რიგზე იყო. რეცეპტი გადაწერა, ხელი მოაწერა, ბოთლს მიაკრა...

მას აქეთ, აი უკვე მეთერთმეტე წელია რაც ესმა ვაზისუბნის სოფლის აფთიაქის გამგედ მუშაობს, ერთგულად და პატიოსნად ემსახურება ხალხს და ყველაფერი თავისთავად მოვიდა, ნდობაც, პატივისცემაც და სიყვარულიც მოჰყვა თავისთავად იმ დაძაბულ და პატიოსან შრომას, ურომლისოდაც ვერც ერთი საქმე ვერ გაიმარჯვებს.

გურჯაანის რაიონში შვიდი აფთიაქია და შვიდივეში მხოლოდ ქალები მუშაობენ. როდესაც საკონტროლო-ანალიზური ლაბორატორიის გამგეს მარიამ თარაშვილს შევეკითხეთ უკანასკნელი ხნის განმავლობაში პროვიზორების მიერ დაშვებული შეცდომებისა და ამის გამო მომხდარ უბედურ შემთხვევებზე, მან გაკვირვება გამოთქვა:

— არა, რასა ბრძანებთ! როგორ იქნება?

ამასთან დაკავშირებით ჩვენ ეჭვი გამოვთქვით: — თუ შეცდომები არ არის, მაშ რაღა საჭიროა ეს „საკონტროლო-ანალიზური ლაბორატორია"?

ამაზე ანალიტიკოსმა, პროვიზორმა ელენე ბოკერიამ გვიპასუხა:

— სწორედ იმისათვის, რომ შეცდომები არ მოხდეს! ეტყობა, მაინც ასე ყოფილა, რადგან იმ 39 აფთიაქში, რომელიც საკონტროლო-ანალიზური ლაბორატორიის მუდმივი ზედამხედველობით მუშაობს გურჯაანის, სიღნაღის, წითელწყაროს, ლაგოდეხის რაიონებში, არავის არ ახსოვს, რომ რაიმე შეცდომა ან მარცხი მომხდარიყოს პროვიზორის მიზეზით.

გურჯაანის რაიონული აფთიაქის მნახველისათვის ძნელი წარმოსადგენია, რომ იგი რომელიმე დიდი ქალაქის აფთიაქში არ იმყოფება. თავისი მოწყობილობითა და მუშაობის მოცულობით აფთიაქი ქალაქის არც ერთ აფთიაქს არ ჩამოუვარდება.

გურჯაანის აფთიაქის კოლექტივში მხოლოდ შვიდი უმაღლესი განათლების მქონე პროვიზორია — მათ შორისაა ისეთი გამოცდილი და პოპულარული ადამიანი როგორც პროვიზორი —ასმათ მუავია, მაგრამ მათ გარდაც, რეცეპტარ მედეა მანჯგალაძისა ანდა ასისტენტ ეთერ ბერიკაშვილის გამო ბევრი კარგის თქმა შეიძლებოდა. საქართველოს ერთ-ერთი სასოფლო რაიონის პროვიზორი—(არსებითად ასეა—თუმცა ოფიციალური მისი ტიტული უფრო ჟღერადია — რაიონის ცენტრის აფთიაქის მმართველი) დავით ღოღელიანი ოცდაათ წელზე მეტია, რაც აფთიაქში მუშაობს; გაუვლია ამ პროფესიის ყველა საფეხურები... 1936 წელს ინსტიტუტი დაამთავრა, პროვიზორი გახდა... უკვე თექვსმეტი წელიწადია გურჯაანის აფთიაქს და მთელი რაიონის საფთიაქო საქმეს ხელმძღვანელობს... არ შევუდგები მის საზოგადოებრივ დატვირთვათა და დავალებათა ჩამოთვლას, და არც იმის აღნუსხვას, თუ რას აკეთებს იგი, ვთქვათ, როგორც სახალხო მსაჯული ან ქალაქის საბჭოს დეპუტატი, მაგრამ ის კი უნდა ითქვას, რომ, რა საქმესაც მოკიდებს ხელს, ხალისითა და მონდომებით უდგება... დავითმა ზედმიწევნით იცის თავისი რაიონი და იცნობს რაიონის ადამიანების ავ-კარგს, იცნობს ჭირსა და ლხინში და შეიძლება უფრო მეტად „ჭირში" — ავადმყოფობასა და გაჭირვებაში, როდესაც მისი დახმარებაა საჭირო...

აფთიაქის თანამშრომლებს რომ კითხოთ გატეხილი ღამეებისა და შუაღამეში გამოძახების გამო, ამბობენ — ეგ ჩვენი ვალია! მართლაც: — აფთიაქი ორ ცვლად მუშაობს, მეორე ცვლა მიდის, მაგრამ აფთიაქში ღამის მორიგე რჩება.

აფთიაქი ღიაა მთელი ღამე. ღამის მორიგეს შეუძლია ყოველ წუთს, როცა კი საჭირო იქნება, მიაწოდოს ავადმყოფს ყოველივე რაც ქიმიურ ფარმაცევტულმა მეცნიერებამ და მრეწველობამ შექმნა და დაამზადა.

დავითი ისეთის გატაცებით ლაპარაკობს ყოველივე ამაზე და კიდევ ათას რაიმეზე რაც ახალ ანტიბიოტიკებს, სხვა სამკურნალო საშუალებებსა და მეთოდებს ეხება. გურჯაანის აფთიაქს თვეში 15.000 რეცეპტით უხდება წამლის დამზადება — ყველა ეს რეცეპტი რომ დაახარისხო, დაინახავ, რომ მათ შორის რამდენიმე ათეული წამალი მეორდება ყველაზე ხშირად, ხოლო თუ სხვადასხვა ავადმყოფისათვის გამოწერილ ერთსა და იგივე წამალს დააკვირდი, დაინახავ—რომ ექიმები ხშირად სხვადასხვა დოზით უწერენ ისეთ შემადგენელ ნაწილებს, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა არა აქვთ — თუ ექიმები უარს იტყვიან ნებისმიერ დოზირებაზე ისეთი შემადგენელი ნაწილებისა, რომელთაც მეორე ხარისხოვანი მნიშვნელობა აქვთ — შესაძლებელი გახდება მრავალი წამლის ერთგვარი სტანდარტიზაცია, დაზოგილი იქნება ბევრი ძვირფასი დრო და ენერგია, რომელიც ახლა სრულიად უმიზნოდ იხარჯება.

—უკვე თბილისში ამ საკითხის გამო მომიხდა ლაპარაკი საფთიაქო დარგის რამდენიმე მუშაკთან — გვეუბნება დავითი, — ყველამ დაადასტურა, მაგრამ დოზა მაინც ექიმის საქმეა და მარტო ჩვენ ვერ გადავწყვეტდით ამ საქმეს.

არ ვიცი სად და როგორ გადაწყდება ეს საქმე, მაგრამ მჯერა, რომ სწორედ ასეთი ადამიანების ცდითა და დაცვით იკვალება ახალი გზები ჩვენი ცხოვრების ყველა დარგში და თუ ასეთი ადამიანები რაიმეს მოკიდებენ ხელს, მათი წამოწყება უშედეგოდ არ ჩაივლის... შეიძლება დავითმა ეს საკითხი ფარმაცევტების საკავშირო ყრილობაზე დასვას, რომლის დელეგატადაც იგი არჩეულია საქართველოს ფარმაცევტთა ყრილობისაგან.

სხვათა მკურნალი, თვით დავითი შეპყრობილია ერთი სენით და ამ სენისგან განკურვნას არაფერი ეშველა. კიდევ მეტიც, დავითის მეუღლე ჩივის, რომ პირიქით, რაც დრო გადის უფრო და უფრო ერევაო... დავითი განუკურნებელი ბიბლიოფილია. მისი მოზრდილი ბიბლიოთეკის კარადები გამოტენილია მხატვრული ლიტერატურის უახლესი გამოცემებით, ხელის მოსაწერ გამოცემათა ტომები უკვე ტანსაცმელისა და ჭურჭლის კარადებსაც შეეხიზნენ...

დავითი ყოველთვის კურსშია ლიტერატურის ყველა უახლესი ამბებისა, „მნათობისა" და „ცისკრის" ახალი წიგნების გადაკითხვას მას ვერავინ დაასწრებს. გულმოდგინე მკითხველსა და ქართული ლიტერატურის მოყვარულს მას არც ერთი ახალი მოვლენა, არც ერთი ახალი სახელი არ გამორჩება... იგი ისევე კარგად იცნობს ახალი ქართული პროზის ოსტატებს, როგორც ქართული ლიტერატურის კლასიკოსებს და ყოველი ახალი წიგნი დღესასწაულია არა მარტო მის ოჯახში, არამედ მთელ იმ დიდ კოლექტივში, რომელსაც გურჯაანის აფთიაქის თანამშრომლები შეადგენენ, რადგან დავითი ახალი ტიპის მწიგნობარია — არა ბიბლიოფილი — მომხვეჭი და დამგროვებელი, არამედ — წიგნის პროპაგანდისტი და აგიტატორი.

შეიძლება, ამაშიც არ ღალატობს დავითი თავის პროფესიას — კარგი წიგნი, ხომ ისეთივე მკურნალია, როგორც კარგი წამალი.





„მე თვითონ არ ვიცი, სად მქონდა ამდენი ენერგია და სიყვარული. მინდოდა სულ მეცეკვა, ოღონდ ვინმე წამხალისებელი და ტაშის დამკვრელი მყოლოდა“, — იგონებს ნინო რამიშვილი.

იტალიელი ქალის, ბალერინა მარია პერინას სკოლაში ახლანდელ სახელმოხვეჭილ სცენის ოსტატების ვახტანგ ჭაბუკიანის, ბაუერის, ირა და დოდო ალექსიძეების, ლიალია ჩიკვაიძის, ლილი გვარამაძისა და თამარ ჭაბუკიანის გვერდით გაიზარდა ნინო რამიშვილი, როგორც ხელოვანი.

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში ნინო რამიშვილი დაუახლოვდა ამ თეატრის სოლისტს, ქართული ცეკვების შესანიშნავ შემსრულებელს ილიკო სუხიშვილს.

1985 წელს ინგლისში გამართულ მსოფლიო ხელოვნების ფესტივალზე ილიკო სუხიშვილი ოქროს მედლით დააჯილდოეს, ხოლო 1986 წელს ქ. მოსკოვში გამართულმა ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის პირველმა დეკადამ სახელი გაუთქვა ნინო რამიშვილსა და ილიკო სუხიშვილს.

1941 წელს, ჯერ კიდევ ქართულ ხალხურ ანსამბლის შექმნამდე, ნინო რამიშვილი და ილიკო სუხიშვილი ერთად მიემგზავრებიან ლატვიაში, ლიტვასა და ესტონეთში. ეს იყო მათი პირველი საინტერესო მოგზაურობა რესპუბლიკის გარეთ. ლიტვამდე ჩასულ საბჭოთა მოცეკვავეებს, გზაზე მოუსწრო სამამულო ომმა. მშვიდობიანი ცხოვრება უცებ შეიცვალა ამაღელვებელ მშფოთვარე დღეებით. ახლა მათ მთელი სამუშაო ჰოსპიტლებში გადააქვთ.

ამ წლებში მიღებულმა გამოცდილებამ დაანახვა ნინო რამიშვილსა და ილიკო სუხიშვილს, რომ საჭირო იყო ქართული ხალხური ცეკვების ანსამბლის შექმნა. მათ მთელი ენერგიით მოჰკიდეს ხელი ამ საქმიანობას და მიზანსაც მიაღწიეს. სამამულო ომის დამთავრების შემდეგ ანსამბლი უდიდესი წარმატებებით გამოდიოდა ფინეთისა და დანიის ქალაქებში. რუმინეთში, ოცდაორი დღის განმავლობაში ანსამბლმა ჩაატარა 357 კონცერტი.

ბერლინი ნინომ ინახულა იმ დროს, როცა გერმანელი ხალხი იშუშებდა ომით მიყენებულ ჭრილობას... „როგორ დამავიწყდება, იგონებს ნინო რამიშვილი, როცა ბერლინის უდიდეს მოედანზე, სადაც ოდესღაც ჰიტლერი იღებდა პარადს, ჩვენს კონცერტებთან დაკავშირებით მოედანი მღეროდა „ინტერნაციონალს“.

დიდი წარმატებით ჩატარდა ქართული ხალხური ცეკვების კონცერტები პოლონეთსა და ბულგარეთში. სახელმოხვეჭილ საბჭოთა ხალხური ცეკვების ანსამბლს და მის ხელმძღვანელებს ნინო რამიშვილსა და ილიკო სუხიშვილს არაჩვეულებრივი სიხარულით შეხვდა ჩეხოსლოვაკია.

მსხვილ ბურჟუაზიულ სახელმწიფოთაგან — საფრანგეთი იყო პირველი ქვეყანა, სადაც გამოვიდა ქართული ხალხური ცეკვების ანსამბლი. საფრანგეთზე ბევრი რამ წაეკითხა და გაეგონა ნინოს, მაგრამ სულ სხვა აღმოჩნდა თვალით ნახული. „გულახდილად უნდა ვთქვა, — ამბობს ნინო,— რომ საზღვარგარეთ თორმეტჯერ მოგზაურობის განმავლობაში, არასოდეს არ განვიცდიდი ისეთ მღელვარებას, როგორც საფრანგეთში წასვლის წინ. ჩვენ ყველანი ერთხმად გვეუბნებოდა, რომ პარიზის საზოგადოებას იმდენი საუცხოო რამ უნახავს ხელოვნებაში, რომ ძნელია მისი გაკვირვებაო.

გაისმა მეორე ზარი... აიხადა ფარდა და დადგა ჩემთვის ყველაზე საპასუხისმგებლო წუთი. ჩვენი მღელვარება ხანმოკლე აღმოჩნდა. უკვე პირველივე ცეკვიდან ვიგრძენით, რომ კონტაქტი დავამყარეთ მაყურებელთან.

„ხევსურული სუიტას“ შემდეგ დარბაზი ტაშისგან ზანზარებდა. ეს ცეკვა სამჯერ გაგვამეორებინეს და, ალბათ, კიდევ გავიმეორებდით, რომ სცენაზე არ შემოჭრილიყო იმპრესარიო ფერნარდო ლომბროზო“.

როგორც შემდეგ გამოირკვა, ლომბროზოს შეშინებოდა, მოცეკვავეები გადიქანცებიან და მეორე დღეს ველარ იცეკვებენო, ეს კი, რა თქმა უნდა, ზარალს მოუტანდა, ამიტომ მან ფარდა დააშვებინა. აღტაცებული ფრანგები ჯგუფ-ჯგუფად დასდევდნენ ნინო რამიშვილსა და ილიკო სუხიშვილის ანსამბლის მოცეკვავეებს, ართმევდნენ ავტოგრაფებს, ესროდნენ ყვავილებს. ასე იყო მარსელში, ასე იყო მსოფლიოში განთქმულ კურორტ ნიცაში. გულწრფელი ოვაციები და ყვავილების წვიმა ფარავდა ქართველ მოცეკვავეებს.

1958 წელს ქ. მოსკოვში გამართულ ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადაზე ნინო რამიშვილი კვლავ წარმატებით გამოვიდა მოსკოვის მაყურებლის წინაშე.

ნინო ცეკვავდა ისევე, როგორც 20-25 წლის წინათ — მხნედ, ცოცხლად, გაბედულად. „ნინო რამიშვილი შესანიშნავად ფლობს ცეკვაში ხელის მოძრაობის ტექნიკას, — წერდა „პრავდა“, — მის ხელებს შეუძლია გამოხატოს ყველაზე უძლიერესი განცდები ქალის ძალისა“.

და აი, თბილისში დაბრუნებულმა ნინომ დასვენებაც ვერ მოასწრო, რომ ისევ მიიპატიჟეს. ამჯერად, იტალიაში. პირველად ისინი მილანში უნდა გამოსულიყვნენ — იქ, სადაც მოღვაწეობდნენ მსოფლიოს გამოჩენილი მომღერლები, ჯილი, ტიტო რუფო, გობი, ენრიკო კარუზო და სხვები.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინო რამიშვილთან ერთად არა ნაკლებ ღელავდნენ ადგილობრივი იმპრესარიოები. მათ ეშინოდათ, რომ კონცერტებს არ დაესწრებოდა ხალხი, რადგან იტალია უფრო ვოკალური მუსიკის ქვეყანაა, ვიდრე ცეკვისა და ბალეტისა. მაგრამ აქაც არაჩვეულებრივი სისწრაფით ალაპარაკდნენ იტალიის გაზეთები. იტალიელები არბოდნენ სცენაზე და კუნთებს უსინჯავდნენ ჭაბუკებს, უკვირდათ, თუ როგორ ცეკვავდნენ ისინი თითის წვერებზე. იტალიელები გულწრფელად აცხადებდნენ: „თქვენი ხელოვნება და ცეკვები იმდენად წმიდა, ფაქიზი და მაღალია, რომ თვით რომის პაპს შეუძლია მათი ყურება“.

როდესაც სამშობლოში დაბრუნებულ ნინოს ეკითხებოდნენ, თუ სად უფრო მეტი გამარჯვება ხვდა წილად საბჭოთა ხელოვნებას, საფრანგეთსა თუ იტალიაში, პასუხი მხოლოდ ერთი იყო: „ჩვენ გვხვდებოდნენ ყველგან ერთნაირად, დიდი სიხარულით და აღტაცებით და ღრმად დავრწმუნდით, რომ ფრანგს, იტალიელს და ყველა ქვეყნის მშრომელ ადამიანს ერთნაირად უყვართ მშვიდობისათვის მებრძოლი საბჭოთა ხალხი და მისი მაღალი ჭეშმარიტი ხელოვნება.

ნინო ჩიხლაძე



მიწურში მაზარაწახურულ უფროს ლეიტენანტს საკუთარი იდაყვი ჰქონდა სასთუმლად. თენდებოდა, სამარისებური სიჩუმე იდგა. საშინელებაა ფრონტზე ასეთი სიჩუმე.

— ამხანაგო, უფროსო ლეიტენანტო!

— აა, მეძინა?! — შეკრთა ოფიცერი და წამოიწია.

— წერილია, ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო! — ისე თქვა პოლკის ფოსტალიონმა, თითქოს მოიბოდიშა.

წერილი დედისა იყო. დებისა და ძმების ამბავს იწერებოდა მოხუცი. ალექსანდრე მშვიდობას იტყობინებაო, თინა პოლონეთშია, ქეთოს ჰოსპიტალი ადგილს იცვლის და დარდი არ მასვენებსო, — დათო, შვილო, შენ იცი როგორ მიხედავ თავს, არ გაცივდე, თავს არაფერი აუტეხო, გენაცვალოს დედა.

— გვანან დედები ერთმანეთს. კაცს მკერდი ტყვიაზე მაქვს მიშვერილი და არ გაცივდეო, ძლივს აეწყო, გაიმართა ჩვენი ოჯახი და ატყდა ეს ტყვიის კორიანტელი, რამდენ ოცნებას მოსხეპა ფრთა?!

წამოდგა, გარეთ გამოვიდა, შორს სადღაც გონების კუნჭულში შეყუჟული ფიქრები აეშალა:

ხუთი ვართ ოჯახიდან წამოსულები, მშენებლობებზე ვოცნებობდი და ჯერ ხარაჩო არც კი მინახავს. ნგრევა, ცეცხლი და სახრჩობელა... დროზდოვს დედ-მამა ჩამოუხრჩეს, დემენტიევების მთელი ოჯახი გერმანიაში წაასხეს, ვიტკა პროსიუკს და ცოცხლად დაუწვეს... ბიჭებს წერილის მომწერი აღარავინ დარჩათ. ვინ იცის, სანამდე გაჰყვებოდა ფიქრს, ქვეყანასავით ვრცელსა და დაუსრულებელს, რომ სერჟანტი არ გამოსჭიმოდა წინ.

— ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო, შტაბში გიბარებენ!

თბილისის ინდუსტრიული ინსტიტუტის მეხუთე კურსის სტუდენტი იყო დავით ქათამაძე, ომი რომ გამოცხადდა. იმ დღესვე ითხოვა ფრონტზე გამგზავნეთო, მაგრამ უარი უთხრეს. თავისი არ დაიშალა, ინსტიტუტი მიატოვა და ჯარისკაცის მაზარა მოისხა. პირველად აკადემიაში მოხვდა, დაამთავრა და თითქოს ბედმა დასცინაო, თბილისში დასტოვეს განაწილებით.

— თბილისი რომ მდომოდა, იქ არ ვიყავი?! — შეშფოთდა კაცი და ვინ იცის რამდენი თხოვნა. მუდარა, შენი ჭირიმე და შენ გენაცვალე დასჭირდა, რომ თბილისის ნაცვლად ფრონტზე გაეგზავნათ.

— ნეტავ რა უნდათ უფროსებს? — გაუელვა თავში, შტაბს რომ მიუახლოვდა.

* * *

უფროსი ძმა ალექსანდრე წარმოუდგა თვალწინ, კადრის ოფიცერი, კარგად ჩასხმული ვაჟკაცი.

ძლიერი კაცი იყო ალექსანდრე, ჩუმი, წარბშეკრული, მაგრამ მოსიყვარულე. რიონჰესის მშენებლობებზე მუშად ნამყოფი, მუშაობდა ზეინკლად, ტრაქტორისტად. ქუთაისის კომკავშირის გუბკომის ბიუროს წევრი იყო, სამხედრო განათლება მერე მიიღო, ლენინგრადში სწავლობდა. ესპანეთში ინტერნაციონალურ ბრიგადაში მოხალისედ იბრძოდა. მერე ავადმყოფობამ დარია ხელი და საქართველოში დაბრუნდა. 1941 წლის 22 ივნისს დეპეშა გაუგზავნა შავი ზღვის ფლოტის სარდალს; სამხედრო გემზე დაბრუნებას თხოვდა; 3 ივლისს განმეორებით გაგზავნა დეპეშა და თხოვნა დაჟინებით გაიმეორა, წაიყვანეს, პირველად ოდესაში მოხვდა. შემდეგ ნოვოროსიისკის საზღვაო კომენდანტი იყო.

1942 წელია. მტერი წინ მოიწევს, დენთის სუნით ამოიხაფრა ჰაერი, ქალაქს ტოვებდნენ ჩვენები, სახეებიდან ღიმილი გაჰქრა, სიცივე. შიშილი...

საზღვაო კომენდანტის ალექსანდრე ქათამაძის კატერმა უკანასკნელმა დატოვა ნავმისადგომი.

თოლიებმა, თითქოს არაფერიაო, ჩვეულებრივ გამოაცილეს კატერი და მიატოვეს. მალე „იუნკერსებმა“ შეცვალეს თოლიები — დაიწყეს კატერის დაბომბვა.

8 საათის შემდეგ მაშველი კატერი გამოჩნდა. წყლიდან რამდენიმე გონებადაკარგული კაცი ამოიყვანეს. მათ შორის იყო პორტის კომენდანტი ალექსანდრე ქათამაძე. გონებამიხდილს პარტიის ბილეთი კბილებით ეჭირა, სანამ გონს არ მოვიდა ვერა და ვერ გაახსნევინეს პირი.

...დედა კი ჩვეულებრივ ატყობინებდა, ალექსანდრე მშვიდობის ამბავს იწერებაო. აბა, სხვას რას მოწერდა, რომელი ვაჟკაცი იწერება სახლში ჭირისა და ვარამის ამბავს. ვინ იცის, ამის შემდეგ ალექსანდრემ კიდევ რამდენი განსაცდელი გადაიტანა.

* * *

შტაბში უთხრეს მოულოდნელი შეტევისათვის უნდა ემზადოთო, და გამოისტუმრეს. უკან დაბრუნებულმა ოფიცრების პატარა ჯგუფი შენიშნა. ის იყო მიუახლოვდა მათ, რომ „იუნკერსები“ სვავებივით წამოაფრინდნენ. ნამდვილად გაწვიმდა ტყვია, დაცხრილეს ყველაფერი, მხოლოდ ის გადარჩა ცოცხალი, ფეხში დაიჭრა.

კაცს ბერლინისაკენ ჰქონდა პირი და ახლა ჰოსპიტალში წასვლას სიკვდილი ერჩია, მაგრამ ექიმი გაჯიუტდა, რა ლათინური სიტყვები არ თქვა, ბოლოს ამპუტაციაც ახსენა, ეშელონში უკრა თავი და ლვოვის ჰოსპიტალში გააქანა.

— ქართველი ხარ, ძმობილო?—შეეკითხა მედიცინის და, არც კი შეუხედავს, ჭრილობას უხვევდა — ჩვენთან არის ერთი ქართველი ექიმი — თქვა და ექთანს შეეხმიანა:

— ქეთევანა ილინიშნა ჰოსპიტალშია?!

თითქოს წყლულზე დააჭირეს ფეხი.

— ვინ, ვინ?

— ქეთევანა ილინიშნა კა-ტა-მა-დზე! — ძლივს დამარცვლა მედიცინის დამ.

...და-ძმის შეხვედრის ამბავი წამში მოედო ჰოსპიტალს. ესეც ბედისწერაა, ექიმ დას, შემთხვევით, დაჭრილი ძმა შეუყვანეს პალატაში.

დასტყობოდა ომი ქეთევანს, კუიბიშევი, კურსკი, ლვოვი, ეშელონები, ჯარისკაცის მაზარა და დოსტაქრის დანა...

და-ძმას ანდროს ცეცხლი ჰქონდა გულში. დრო მიდიოდა, მისგან არაფერი ისმოდა. მფრინავი იყო, ცოტა ჯიუტიცა და თავნებაც. ვინ იცის... ღრღნიდა ეჭვი გულებს, გამხელით კი არაფერს ამხელდა არც ერთი. ანდროს ერთადერთი წერილი ჰქონდა ქეთევანს.

ადრე რიონჰესზე მუშაობდა, შემდეგ მოსკოვში წავიდა მეტროს მშენებლობაზე და პირველი ხაზის დამთავრებამდე იქ იყო. ომის დაწყების წინ საავიაციო სასწავლებელში იყო ინსტრუქტორად.

ქათამაძეების უფროსი და, თინათინი, რკინიგზის ინჟინერი, პოლონეთში იყო. რკინიგზა უჩვეულოდ გადატვირთული იყო და დღე-ღამეს ასწორებდნენ საბჭოთა სპეციალისტები, მათ შორის, თინათინიც.

და-ძმა მალე დაშორდნენ ერთმანეთს. დავითი კვლავ თავის ნაწილში დაბრუნდა და ბერლინში შევიდა. იწვოდა რაიხსტაგი, იწვოდა კაცობრიობის შავი ჭირის კერა, გამარჯვებულთა საზეიმო კოცონს გავდა ალმოდებული ფაშიზმის ბუნაგი.

* * *

ომი დამთავრდა. ღია ჭრილობას გავდა ქვეყანა. გადარუჯული, გადამწვარი. გამარჯვებულთა ეშელონები სამშობლოსაკენ დაიძრნენ. სახლში დაბრუნდა კალატოზი, ხურო, ექიმი, მიწის მუშა... კაცმა მშვიდობიანი ცხოვრებისათვის მოიცალა.

ქათამაძეების ოჯახშიაც დადგა სიხარულის გაზაფხული. ჯერ ალექსანდრე დაბრუნდა, მერე თინათინი, თინათინს ქეთევანი მოჰყვა, ქეთევანს დავითი. ანდრო არ ჩანდა, არც ამბავი ისმოდა არაფერი. დედის სიხარულს ეს ჩრდილი ჰქონდა მხოლოდ.

ეს მოხდა 1947 წელს. დავითი სამხედრო საექიმო კომისიაზე გამოიძახეს, როცა მისი გვარი ამოიკითხეს, ვიღაც მფრინავი წამოდგა და მამის სახელი ჰკითხა.

— ილიას-ძე? ანდრო რა იყო თქვენი!

„რა იყოო?“ გველივით უკბინა გულზე ამ შეკითხვამ. უცნობი ანდროს ბიოგრაფიას დაწვრილებით მოჰყვა. ყველაფერი ზუსტად დაემთხვა.

სულ სამჯერ გაფრინდა დავალებაზე, სამჯერვე გამარჯვებული დაბრუნდა, მეოთხედ რამდენიმე „მესერშმიდტი“ წამოეწია, უაზრო იყო უთანასწორო ბრძოლა, ცეცხლმოკიდებულ თვითმფრინავიდან გადმოხტა. საქართველოს რეკორდსმენი პლანერით ფრენაში ბრწყინვალედ იყო დაუფლებული საპარაშუტო საქმეს და მტრის მფრინავს ტყვიამფრქვევით რომ არ მოეცელა, მიწასთან სულ ახლო გაშალა პარაშუტი, სიჩქარე დიდი ჰქონდა, უზარმაზარ მოედანზე ერთადერთი ბოძი იყო გადაფერდებული.

ჰოდა... სწორედ ამ ბოძს შეეჯახა. დაიღუპა! დაიღუპა და რა ბიჭი! ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით უყვებოდა მფრინავი.

* * *

...წუხელ ამ ოჯახში შემთხვევით მოვხვდი, ყველანი იქ იყვნენ, დედასთან მოეყარათ თავი. ეს ოჯახი რატომღაც ულრუბლო ცას მაგონებს, წმინდას, მოკრიალებულს...

ყველას ვიცნობდი, ყველაზე უფროსი და ნინოც გავიცანი ახლა.

— ეს ჩვენი დაც არის და მამაც. ჩვენ ყველანი ამისი დაზრდილები ვართ, ეს არის ჩვენი ოჯახის ქომაგი, ნინო ჩვენი ზურგია და ხომ იცით, რას ნიშნავს მაგარი ზურგი! — თქვა მისმა მომდევნო ძმამ.

ნინო თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის მგეგმავი ეკონომისტია. ალექსანდრე — ქარხანა „ელექტროგამშვების“ საწარმოო საგეგმო განყოფილების გამგე, თინათინი რკინიგზის ინჟინერია. ქეთევანი ზესტაფონში გათხოვდა, იქ დასახლდა, ქალაქის საავადმყოფოს ქირურგია. დავითმა დიდი ხანია, რაც დისერტაცია დაიცვა და ახლა პოლიტექნიკურ ინსტიტუტის მექანიზმებისა და მანქანების თეორიის კათედრის დოცენტია. შრომობენ და ალალ ლუკმას ჭამენ.

გვიან ღამემდე ისხდნენ და ლხინობდნენ, ლხინი იყო, ნამდვილი ლხინი, გულიანი, ქართული.

დედის სადღეგრძელო დალიეს. წამით სიჩუმე ჩამოვარდა, ისეთი სიჩუმე თითქოს უკაცური იყო გარემო.

ეს წამით დუმილი სიყვარული იყო დედისა.



ეროვნული ბიბლიოთეკა



**აკადემიკოსი ალექსანდრე ჯანელიძე**

(დაბადებიდან 70 წლისთავის შესრულების გამო)

მხატვ. უ. ჯაფარიძე.



„ფოტო გურამ თიკანაძისა". ამ ხელმოწერით ხშირად იბეჭდება საინტერესო ფოტოეტიუდები ჩვენი ქვეყნის ჟურნალ-გაზეთებში.

გ. თიკანაძის წარდგენილმა ფოტოებმა პრემიები დაიმსახურეს „ვოკრუგ სვეტასა" და მსოფლიო ახალგაზრდობის ჟურნალ „მოლოდიოჟ მირას" კონკურსებში. ბრიუსელის გამოფენაზე საბჭოთა პავილიონში ახალგაზრდა ფოტოსაქმის ოსტატის რამდენიმე ნამუშევარი იყო ექსპონირებული. მისი ფოტოსურათებისათვის დამახასიათებელია მოულოდნელი, ლამაზი რაკურსები, შუქ-ჩრდილის საინტერესო განაწილება და, რაც მთავარია, ესთეტიკური ზემოქმედება მკითხველზე. ფოტო-კორესპონდენტის თემატიკა მრავალფეროვანია, ეს არც არის გასაკვირი: გურამ თიკანაძე კარგად უთავსებს ერთმანეთს გეოლოგობას, ჟურნალისტობასა და მთასვლელობას. 1958 წელს ქართველ ალპინისტთა ჯგუფთან ერთად იგი გახდა ჩვენი ქვეყნის პრიზიორი, მოიპოვა მეორე ადგილი და ვერცხლის მედალი ტექნიკურად რთული ტრავერსისათვის. მას ყველგან თან დააქვს თავისი განუშორებელი ფოტოაპარატი ჩვენი ცხოვრების საინტერესო ფაქტების ალსაბეჭდად.







ეროვნული ბიბლიოთეკა











მ. ხვიტია ქართლის პეიზაჟი





დ. ერისთავი
„კლასობანა“

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კიტა აბაშიძე და ფრანგული ლიტერატურის საკითხები

დავით ფანჩულიძე

## I

ქართული ლიტერატურის ცნობილი მკვლევარი კიტა აბაშიძე იყო, აგრეთვე, ფრანგული ლიტერატურის ღირსეული მცოდნე და დამფასებელი. სამწუხაროა, რომ ასეთი პიროვნების სახელი, თუ დავიწყებული არა, დღემდე ჩრდილშია მოქცეული. შეიძლებოდა გვეთქვა, რომ უცხოური ლიტერატურის კვლევის საქმეში საქართველოში თითქმის ისევე მოხდა კიტა აბაშიძის მიმართ, როგორც რუსეთში ალექსანდრე ვესელოვსკის მიმართ. რუსეთის ლიტერატურათმცოდნეობაში კარგა ხანია დაწყებულია ამ შეცდომების გამოსწორება, უკვე დროა ჩვენშიც მოხდეს ეს.

იმის მაგივრად, რომ ნამდვილად მეცნიერული კრიტიკის საფუძველზე შეესწავლათ კიტა აბაშიძის ლიტერატურული მემკვიდრეობა, გაეკეთებიათ საჭირო ანალიზი მისი მეთოდოლოგიური შეცდომებისათვის, ხდებოდა ამ ნიჭიერი კრიტიკოსის „დამუშავება" და ლანძღვა-გინება.

კიტა აბაშიძის ლიტერატურული მემკვიდრეობისადმი დამოკიდებულების საკითხი გადასინჯვას მოითხოვს, ოღონდ ამ კეთილშობილურ საქმეში არ უნდა მოხდეს მეორე მხრივ გადახრა, არ უნდა მოხდეს ისე, რომ „ვით მეტი იყო წელან ძაგება, ისე მეტია ეხლა ეგ ქება".

კიტა აბაშიძე წარმოგვიდგება, როგორც თავისი დროის ღრმად განათლებული პიროვნება, ქართული ლიტერატურის შესანიშნავი მცოდნე და დამფასებელი, ფართო დიაპაზონის კრიტიკოსი. კიტა აბაშიძემ გარკვეული როლი შეასრულა მშობლიური ლიტერატურის განვითარების საქმეში და მკვლევარი, რომელიც ქართული ლიტერატურის ისტორიის მასალებზე მუშაობს, ანდა ფრანგულ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობას იკვლევს, მას გვერდს ვერ აუვლის.

მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე კიტა აბაშიძე დაინტერესებული იყო ფრანგული ლიტერატურით, მან საფუძვლიანად იცოდა ეს ლიტერატურა დედანში, ის თვალყურს ადევნებდა თავისი თანამედროვე ფრანგული ლიტერატურის განვითარებას, ხშირად მოჰქონდა ციტატები, დამახასიათებელი ადგილები ფრანგ მწერალთა ნაწარმოებებიდან.

კიტა აბაშიძეს ეკუთვნის წერილები, სტატიები, შრომები ფრანგულ ლიტერატურაზე, აგრეთვე, თარგმანები. ჩვენი მკვლევარი იმთავითვე გაიტაცა ფრანგი აკადემიკოსის ფერდინანდ ბრუნეტიერის შრომებმა და მიუძღვნა მათ „ივერიაში" რამდენიმე სტატია სათაურით: „მოძღვრება ევოლუციისა კრიტიკაში". ფ. ბრუნეტიერი თავის მხრივ ამოდიოდა დარვინის ევოლუციური მოძღვრებიდან, იპოლიტ ტენის „გარემოს თეორიიდან", პოზიტივიზმიდან და მიდიოდა უცნაურ დასკვნამდე; რომ როგორც ბუნებაში, ისე ლიტერატურაში არის გვარები, ლიტერატურული ჟანრები. ეს ჟანრები თუ გვარები, როგორც ბუნების ყოველი ნაწარმოები, იბადება, იზრდება და გარდაიცვლება სხვა მონათესავე ჟანრებად. ისინი ბუნებრივ შერჩევას ექვემდებარებიან, მათში სწარმოებს ცხოვრებისათვის ბრძოლა და სხვა.

ჩვენი მკვლევარი ფ. ბრუნეტიერის აღნიშნული შრომების შუქზე არჩევს მთელ რიგ ლიტერატურულ მოვლენას და უნდა ითქვას შემდეგი: სადაც კიტა აბაშიძე მიჰყვება ფრანგი მეცნიერის შეხედულებებს, იქ ის მასსავით იდეალისტურ შეცდომებს უშვებს და სადაც შორდება მას, იქ ის ხშირად სწორ მეცნიერულ აზრებს გამოთქვამს.

კიტა აბაშიძეს თავის შრომაში: „ევოლუცია სალირიკო პოეზიისა საფრანგეთში მე-XIX საუკუნეში" სანიმუშოდ მოაქვს შესანიშნავი ლექსები ჩვენი დიდი მგოსნებისა და მოაქვს არა როგორც მიბაძვის ნიმუში, არამედ როგორც „უფრო საგრძნობი და გასაგები", რომლებიც არაფრით არ ჩამოუვარდებიან ამავე თემაზე დაწერილ ფრანგ პოეტთა ლექსებს.

ამ საქმიანი შედარებების დროს კიტა აბაშიძეს კეთილი მიზანი ჰქონდა, ის აღსავსე იყო მშობლიური ლიტერატურის გამო სიამაყის გრძნობით. ყოველივე ეს მას მიაჩნდა ღირსების საქმედ.

დღემდე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში გავრცელებული იყო მცდარი აზრი: თითქოს კიტა აბაშიძეს ემტკიცებინოს, რომ ილია ჭავჭავაძის „განდეგილი" არის ფრანგი მწერლების ემილ ზოლას „აბატ მურეს შეცოდებისა" და გუსტავ ფლობერის „წმინდა ანტუანის ცდუნების" გავლენით დაწერილი პოემა, რომ ილია ჭავჭავაძე „განდეგილის" შექმნამდე მიიყვანა მიბაძვის სურვილმა და სხვა.

ეს აზრი გაუგებრობის შედეგია. საქმის ნამდვილი ვითარება სრულიად საწინააღმდეგოს გვეუბნება.

კიტა აბაშიძემ ილია ჭავჭავაძის „განდეგილზე" ფრიად საყურადღებო და მართებული აზრები გამოთქვა; მან იგი გამოაცხადა შედევრად, უდიდებულეს ნაწარმოებად მთელს ახალს ქართულ ლიტერატურაში. „განდეგილის" შედარებით უცხოურ ლიტერატურულ ძეგლებთან ჩვენს მკვლევარს სწადდა, ფართო საზოგადოებრიობისათვის ეჩვენებინა იმ დროის ქართული მხატვრული ლიტერატურის მაღალი დონე, შინაარსისა და ფორმის მხრივ, საკაცობრიო პრობლემების დასმისა და გადაწყვეტის მხრივ.

კიტა აბაშიძის მიერ ასეთ ვრცელ, ღრმა ცოდნაზე დამყარებულ მეცნიერული შედარებისას „განდეგილმა" გაიმარჯვა კიდევ უფრო ფართო მასშტაბითაც, იგი კიდევ უფრო ძვირფასი და დიადი აღმოჩნდა.

„განდეგილის" შედარება უცხოურ მხატვრულ ნაწარმოებებთან მეცნიერული და პატრიოტული ნაბიჯი იყო.

კიტა აბაშიძე წერს: „**1820**-იანს წლებში, როგორც ლიტერატურული, ისე საზოგადოებრივი ნიადაგი სრულიად მზად იყო სალირიკო პოეზიისათვის. პირველი პოეტი ამ ხანში ლამარტინი არის"[1]. შემდეგ კ. აბაშიძე ახასიათებს იმ პერიოდს, რომელშიც ლამარტინს უხდებოდა ცხოვრება და მოღვაწეობა, მიუთითებს იმაზე, რომ ერთ ხანს ლამარტინი ყველამ მიატოვა, საზოგადოება გულგრილი გახდა მის მიმართ, მაგრამ შემდეგ მისმა ლექსებმა აღტაცებასა და განცვიფრებაში მოიყვანა ფრანგული საზოგადოებრიობა.

კიტა აბაშიძეს ფ. ბრუნეტიერთან ერთად განსაკუთრებით მოსწონს ლამარტინის ლექსებში ავტორის ლირიზმი და ამ ლირიზმში სიყვარულის საკითხი. ჩვენი ავტორი აღნიშნავს, რომ სიყვარულის საკითხი ლიტერატურაშიც ისე, როგორც ცხოვრებაში დიდი და რთული საკითხია, იგი ყველას თავისებურად ესმის, მის შესახებ უამრავი თვალსაზრისია გამოთქმული. ზოგისათვის ეს გრძნობა გამაუბედურებელიც არის და გამაბედნიერებელიც. „ზოგიერთს სიყვარული მიაჩნია იდეალად, რომელიც „აგვამაღლებს", რომელიც გვაძლევს ძალასა და ღონეს გვიორკეცებს, გვამამაცებს, ათასნაირ გმირულსა და თავგანწირულს მოქმედებას გვაკისრებინებს, მრავალს დიდებულს აზრს ჩაგვინერგავს. ამათ სიყვარული „უკვდავ გრძნობად" მიაჩნიათ, რომელმაც „სულს მოჰბერა ცის ნიჭი ქვეყნად დათვის მკობად ჰქმნა იგი მგოსნად", იგი ღვთაებაა, რომელსაც მგოსანი ამ დიდებულს მსხვერპლს შესწირავს". ამის შემდეგ კ. აბაშიძეს მოაქვს ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი:

„შევიშრობ ცრემლსა, ჭირთ მანელებელს,
გულსა დავიწვავ დასანაცრებელს,
და მისსა ფერფლსა, ვითა საკმეველს,
შევსწირავ სატრფოს ჩემსა სალოცველს!"

მკვლევარს ჩვენი პოეტის ეს ლექსი მოაქვს, როგორც სანიმუშო, რომელიც ფრანგი პოეტების ლექსებზე უფრო „საგრძნობი და გასაგებია". ის წერს: „უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენს ლირიკოსებსაც (ე. ი. ქართველ პოეტებსაც — დ. ფ.) სიყვარული სულიერიდან უსულოზე გადააქვთ, მაგრამ უფრო კონკრეტულზე და ამიტომ უფრო საგრძნობი და გასაგებია. არ ვიცი, ზოგიერთი ლექსი თ. აკაკი წერეთლისა, ამ საუკეთესო პოეტისა ჩვენს ცოცხალ ლირიკოსთა შორის (მე სახეში მისი პატარა ლექსები მაქვს), და ან ზოგიერთი ლექსი ჭავჭავაძისა რით ჩამოუვარდება, მეტი რომ არა ვთქვათ, მსოფლიოს ლიტერატურის შესანიშნავ ლექსებსა ამავე საგანზედ? იგინი ამ დიდ სულიერს ამ ერთს დიდ არსებას, ისეთი ენით ელაპარაკებიან, თითქოს ნამდვილი, გულ-წარმტაცი და მომხიბვლელი სატრფო უსხდეთ გვერდით. რა შეედრება მათ ტანჯვას, მათ სასოწარკვეთილებას, მათ სევდას, როცა ჰხედავენ, მათ საყვარელს სხვა ეალერსება და მათ ზედაც არ შეჰხედავს ხოლმე! რომელი პოეტის სევდას ჩამოუვარდება, თუ არ აჯობებს, თ. აკაკი წერეთლის სევდა მის „აღმართ-აღმართში", როცა მისი საყვარელი გულგრილად მიიღებს ყოველსავე მის რჩევას, მის ხვეწნას, მის ვედრებას და როცა იგი უდიადესი სევდით მოცული, დიდებულად თავგანწირული და დიდებულად ტანჯული „დაღმართ, დაღმართს დაუყვება წა მალი" და „საუკუნოდ ხელდაკრეფით განსვენებას" ლამის? მისთვის აქ, ამ ქვეყანაში, რომელმაც ერთი წუთის წინ ისე ეშმაკურად მოხიბლა, „სიცოცხლე აგრძნობია", „სული და გული აუდუღა", რომელმაც ერთი წუთის წინ აღიტაცა ისე, რომ კინაღამ გულში არ ჩაეკრა მას, ეხლა აქ მისი მიმზიდველი აღარა დარჩენილა რა და მიიჩქარის იქ, სად ელიან ბარით, ნიჩბით, კუბოთი და ლოდებით".

„ჩვენი პოეტებისათვის — განაგრძობს კიტა აბაშიძე, — სიყვარული არც საეპიკურო, არც მტანჯველი რამეა, რომელსაც წყევასა და კრულვას უძღვნიან; ეს სიყვარული მათთვის თვით იდეალია, თვით შინაარსია ცხოვრებისა, უიმისოდ მათი ცხოვრება წარმოუდგენელია, იგინი მისთვის კი არ გამოდიან საგმირო სამოქმედოდა და თავის გასაწირადა, რომ თავისის საყვარლისაგან დაფნის გვირგვინი მიიღონ. არა, მათთვის ამ საყვარელი არსების გულგრილობაა სატანჯველი. მათთვის შეუძლებელია ამ სიყვარულის იმისთანა ადამიანის ხელში ყურება, რომელიც „საწამლავში შარბათს ასმევს", რომელიც ვარდებით ეკალში იტყუებს და რომელიც ეშხით ათბობს და მერე ისარით გულს განუგმირავს. ამ საყვარელის მისი მომხიბლველისაგან დახსნა, განსაცთელისაგან განთავისუფლება მათთვის იდეალიც არის და გზაც ამ იდეალამდე მიმყვანი. მათი ტანჯვა და სიხარული მით არის სასიმპატიო და თაყვანის საცემელი, რომ სრულიად უანგაროა. სრულიად არ ემჩნევათ, რომ ვითომ უნდოდეთ თავიანთი ტანჯვით იკოხტაონ, იმიტომ რომ წრფელის გულით იტანჯებიან და წრფელს გრძნობას კი კოხტაობისა და პრანჭვისათვის არა სცალიან.

[1] კიტა აბაშიძე, „ევოლუცია სალირიკო პოეზიისა საფრანგეთში მე-XIX საუკუნეში", გვ. 20.

პირიქით, აბა შეჰხედეთ, რა ხასიათის სიმტკიცეს იჩენს პოეტი, რა სტოიკებრ დიდებულებასა ჰჩემობს, როცა „ხალხში, ძალად ღრუბელს ადარებს“, „მოწყენით მღერს თავისს თავზედ არ იცინებს“, რომ არა სთქვან მაზედ: „რა ოხერია!“ მაგრამ ვინ ჩაიხედავს იქ, მის გულში, ვინ დაინახავს, რა ტანჯვა და წამება ტრიალებს იქა, რა „მწუხარების ალი“ სწვავს. ოდესმე საყვარელი მის საფლავს ცრემლებს დააყრის და თუ ამას თითონ ვერ გაიგებს, სხვები მაინც დაინახავენ და იტყვიან, ამ კაცის ტანჯვამ ტყუილად არ გაიარა და ბოლოს მაინც ცრემლმა ცრემლი გამოიწვიაო. ანდა შეჰხედეთ მეორე პოეტს, რა ნაირი ენით ელაპარაკება თავის ქვეყანას, „ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენიაო?“ ისეთი გულუბრყვილო, ისეთი წრფელი, გულ-ახდილი და გულამოსკვნილი ბაასია, რომ გაგაკვირვებთ, რატომ „საყვარელი“ არ ჩასწერა „ქვეყნის“ მაგიერადა, განა შეიძლება ასეთის ნამდვილის გატაცებით, ასეთის სევდიანისა და იმედისა და ნუგეშის მომცემის ენით კაცმა თავის სატრფოზედ მეტს ვისმე მიჰმართოს. რა ტანჯვას ჰგრძნობს ეს პოეტიც, როცა მისი სატრფო „სხვას თავს ევლის, სხვას ეტრფის“ და თვით „კი სწყევლის დღეს თავის გაჩენისას“, „არ იცის, სად წავიდეს, ვის შესჩივლოს, ვის უთხრას, ვინ გაუღებს დახშულს კარსა ბედისას?“ მართალია უნდა ვთქვათ, ამ მხრით ჩვენმა პოეტებმა ჩინებული და დიდად შესანიშნავი შექსოვა იტვირთეს ორი გრძნობისა, პატრიოტიზმისა და სიყვარულისა, ერთმანეთს შეადუღეს ისე, რომ უცხოსათვის ძნელი გასარჩევია, რომელ გრძნობას გვიხატავს ავტორი“.

ეს გრძელი ამონაწერი განგებ მოვიტანეთ იმისათვის, რომ ნათელი იყოს კიტა აბაშიძის პატრიოტული დამოკიდებულება მშობლიური ლიტერატურისადმი. ნუთუ ამ სტრიქონებში არ ჩანს, რომ კიტა აბაშიძე, ადარებს რა ჩვენს ლიტერატურულ ნიმუშებს ფრანგულს, საქმის ცოდნით ამტკიცებს და ცხადყოფს, რომ ქართული ლიტერატურა იყო მოწინავე ლიტერატურა, რომ იგი ზოგიერთ საკითხში ფრანგულ ლიტერატურაზე წინ იდგა, ყოველ შემთხვევაში არ ჩამოუვარდებოდა მას. ჩვენი მკვლევარი, როგორც სხვა შემთხვევაში, ისე აქაც, ქართული ლიტერატურული ნიმუშების ფრანგულთან შედარების დროს თავისი მშობლიური ლიტერატურის დონეს გვიჩვენებს, ეს დონე და ეს შედარება სიამაყის გრძნობას გვინერგავს და გვახარებს, სადაა აქ კ. აბაშიძის მსჯელობაში ბრმა მიმბაძველობა უცხოურისადმი, კერძოდ ფრანგული ლიტერატურისადმი?

კიტა აბაშიძის მეთოდი ამ შედარებისას გასაგებია: ცხოვრებაში უამრავი საჭირბოროტო საკითხები და პრობლემებია; ამ საკითხებსა და პრობლემებს ეხმაურებიან სხვადასხვა ქვეყნის მწერლები. ჩვენი მკვლევარი, არჩევს რა ფრანგი პოეტების შემოქმედებას, ადარებს რა მას ქართველ პოეტთა შემოქმედებას, ფაქტიური მასალების ანალიზის საფუძველზე მკითხველს არწმუნებს, რომ ქართველი პოეტები მათ კი არ ჩამოუვარდებიან, გვერდით უდგანან, ხშირად კიდეც წინ უსწრებენ მათ.

კიტა აბაშიძე აღნიშნავს, რომ სალირიკო პოეზიის მეორე თემა არის ბუნება. ავტორი არჩევს ბუნების საკითხს ლამარტინის, ვიქტორ ჰიუგოს, ალფრედ დე ვინის და ალფრედ დე მიუსეს პოეზიაში და მოაქვს ნიკოლოზ ბარათაშვილის ცნობილი ლექსი: „შემოღამება მთაწმინდაზე“.

ჩვენი მკვლევარი ამაყობს ამ ლექსით, რომელიც ეკუთვნის მისი სამშობლოს სასიქადულო პოეტს, როგორც თვითონვე ამბობს. და მოაქვს იგი, არა როგორც წაბაძვის ნიმუში, არამედ როგორც მეტად მგრძნობიარე და ღრმა შინაარსის შემცველი ლექსი, რომელიც არაფრით არ ჩამოუვარდება ამავე თემაზე დაწერილ ფრანგ პოეტთა ლექსებს.

კიტა აბაშიძე თავის მსჯელობას ვიქტორ ჰიუგოს შესახებ ასე იწყებს: „ერთხელ ღვთად მიჩნეულ ვიქტორ ჰიუგოს წინააღმდეგ ეხლა საფრანგეთში რეაქცია დაიწყო და მის შესახებ აზრი გამოიცვალეს. ლემეტრი, ცნობილი საფრანგეთის კრიტიკოსი, ძალიან ამცირებს ჰიუგოსა და ფრაზეოლოგიასა სწამებს: სწამებს ერთისა და იმავე გამეორებასა, სიტყვების რახა-რუხსა, აზრების სიღარიბესა და სხვა“.

ჩვენი მკვლევარი საქმის ცოდნით იცავს ვიქტორ ჰიუგოს ლემეტრის შემოტევისაგან. კ. აბაშიძის აზრით ლემეტრის მსჯელობა ცალმხრივია, სუბიექტურია, იგი არ გამოხატავს სიმართლეს. „ვ. ჰიუგო,— წერს კ. აბაშიძე—ვითარცა პოეტი, ისეთივე შესანიშნავია, როგორც მომქმედი საპოლიტიკო მოღვაწე და ნამდვილი ღვიძლი შვილი თავისი დიდებულის მამულისა“.

ამის შემდეგ კიტა აბაშიძე დასძენს: „თუმცა ჰიუგოს აქვს ნაკლოვანებანი, როგორც ყოველს კაცს, რაც უნდა დიდებული იყოს, მაგრამ იმისი პიროვნება იმდენად დიდებულია, იმდენად შესანიშნავია, იმდენად ბრწყინვალეა, რომ ამ ნაკლულოვანებათა ჩხრეკა-ძიება და ისიც იმიტომ, რომ ტალახი ესროლოს კაცმა — ულირსი საქმეა. მზესაც კი აქვს შავი წერტილები, მაგრამ როცა მზეს ვუყურებთ, პირველად მისს სინათლესა ვგრძნობთ და რომ ვინმემ გთხოვოთ მზის თვისებათა აღწერა, პირველადვე შავ წერტილზე არ მიუთითებთ, რადგან ეს თვისება უმნიშვნელო თვისებაა მისი“.

კიტა აბაშიძის აზრით ვ. ჰიუგოს ლექსები კლასიკური იყო, ამ ლექსებში ჩანს ახალი სიოს ქროლვა, იხატება პოეტის მღელვარე და შფოთიანი ბუნება. ვ. ჰიუგო „აგინებს, ჰლანძღავს, წყევლა-შეჩვენებას უძღვნის თავის საპოლიტიკო მტრებსა. აქვე ჰხედავთ უკვე, რომ პოეტი საომარს პოზიციას იკავებს: ჰგრძნობთ, რომ იმის ბუნებას არ შეუძლია ყველაფერს დაუმორჩილდეს, ყველაფერს შეურიგდეს, ყველაფრით დაკმაყოფილდეს. უთუოდ უნდა ჰყავდეს წინააღმდეგი ვინმე, ხოლო რომ არ ჰყვანდეს, უსათუოდ ფანტაზიით მოიგონებს და თავისს რისხვას დასცემს თავსა“.

ჩვენი მკვლევარი ვ. ჰიუგოს ყველა ფრანგი რომანტიკოსისაგან განასხვავებს. ეს განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ „პოეტი არასოდეს არა სტოვებს დედა-მიწას. ვ. ჰიუგოს ოცნება არ უყვარს, მხოლოდ ცოცხალი სინამდვილე აღელვებს. მის ყურადღებას მიიპყრობს ისტორია, მხოლოდ თანამედროვე პოლიტიკაში ჰპოვებს თავისს გრძნობათა ამშლელსა და აღმაშფოთებელს საგანს. პოეტს მხოლოდ აინტერესებს, რაც უნახავს და გაუგონია, მისი სამეფოა კაცთა ვნებათა-ღელვა. ვერავინ მის მსგავსად ვერ იხმარს ამ სამეფოსა. ამასთან გასაოცარს ძალას იჩენს ლექსთა თხზვაში. იგი სრული ბატონია თავისის ხელოვნების. გენიოსურის ხელოვნებით აწყობს ლექსს ლექსზედა“.

შემდეგ კ. აბაშიძე ეხება თეორიას „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ და გამოთქვამს საგულისხმო აზრს, რომ ვ. ჰიუგო არასოდეს არ ყოფილა მომხრე ამ ანტირეალისტური თეორიისა; გაკვირვებას იწვევს ჰიუგოს ლექსების რითმათა სიმდიდრე, მისი ლექსიკონის სიუხვე, ენის ჭახრაკული მოწყობილობა და თვალის მომჭრელი ბრწყინვალება და ყოველივე ეს, ჩვენი მკვლევარის აზრით, იმდენად ზე-ალმტაცი ეჩვენებათ „წმინდა პოეზიის“ წარმომადგენლებს, რომ ხელოვნების იდეალად ლექსის ფორმის სიმშვენიერე დასახეს. ისინი ამოეფარენ ვ. ჰიუგოს დიდ სახელს, გამოაცხადეს პოეტი თავიანთ მამად და განაცხადეს თითქოს ვ. ჰიუგო იყო ფუძემდებელი უცნაური თეორიისა — „ხელოვნება ხელოვნებისათვის“.

„ვ. ჰიუგო, წერს კ. აბაშიძე, პირველისავე ლექსით სულ წინააღმდეგ თეორიას აღიარებდა. პოეტს შეუძლებლად მიაჩნდა ხელოვნებისათვის ცხოვრებისა და მოქმედების დაშორება და ამას იმეორებდა ყოველთვის. უნდოდა მხოლოდ საოცარი ხელოვანი შექმნილიყო, რათა ყველასათვის გაეგონებინა რისი თქმაცა სურდა“.

კიტა აბაშიძე მაღალ შეფასებას აძლევს ლექსთა იმ კრებულებს, რომლებიც ვ. ჰიუგომ გადასახლებაში დაწერა. ეს კრებულებია: „სასჯელნი“, „განჭვრეტა“, „საუკუნეთა ლეგენდა“, ჩვენი მკვლევარის აზრით, ეს ლექსები „საუკეთესო და უძლიერესი ლექსებია, არათუ ვიქტორ ჰიუგოს თხზულებათა შორის, არამედ საფრანგეთის და ევროპის სალირიკო ლიტერატურაშიაც კი. სამშობლოს მოშორებულმა პოეტმა წამოამდინარა იმდენი ნაღველი თვისს ლექსებში, გააგონა შორიდან თვისთა თანამემამულეთ ისეთი სიტყვები აღელვებისა და სიძულვილის ყოველისადმი, რაც კი კაცის პიროვნებას მლახავს და არცხვენს, რომ მისი მსგავსი კაცის ბაგეს არ წარმოუთქვამს“.

საერთოდ, ასე საქმის ცოდნით, სწორად მსჯელობს კიტა აბაშიძე ფრანგული ლიტერატურის საკითხებზე, კერძოდ ვიქტორ ჰიუგოს პოეტურ შემოქმედებაზე, მაგრამ მას ზოგჯერ შეცდომაც მოსდის. მაგალითად, შრომის 39-ე გვერდზე ჩვენი ავტორი წერს: „ის მიმართულება ლიტერატურისა, რომელიც გოტიემ და დე ვინიმ დაიწყო და რომელიც ნატურალიზმის დაწყებად უნდა ჩაითვალოს, შეჩერდა“.

კიტა აბაშიძე ცდება, როცა ტეოფილ გოტიეს და ალფრედ დე ვინის ნატურალიზმის დამწყებად აცხადებს. დიდი ხანია ნათელია, რომ ტეოფილ გოტიე (ვ. ჰიუგოს დიდი დამფასებელი და მოყვარული) ითვლება თეორიის „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ წარმომადგენლად, ალფრედ დე ვინი კი რეაქციულ-კონსერვატიული რომანტიზმის წარმომადგენლად. მათ ნატურალიზმთან კავშირი არ ჰქონიათ და არც შეეძლოთ ჰქონოდათ.

მცდარია, აგრეთვე, ჩვენი მკვლევარის შემდეგი აზრიც: „პოეტებმა და საზოგადოებამ ყური მიაპყრეს ამ საოცარს მგოსანს, რომელსაც რასაკვირველია, აღარ შეეძლო მარტო თვისი ლექსების შემწეობით რომანტიზმი კვლავ აღედგინა და ახალი მიმართულება სამუდამოდ შეეწყვიტა“.

„საოცარ მგოსნად“ იგულისხმება ვ. ჰიუგო, რომელმაც თურმე ვერ შეძლო რომანტიზმის კვლავ აღდგენა.

საინტერესოა ამ რომანტიზმში რას გულისხმობს ჩვენი ავტორი; პროგრესულ, თუ რეაქციულ რომანტიზმს? თუ ის გულისხმობს რეაქციულს, ვიქტორ ჰიუგო ხომ ებრძოდა მის წარმომადგენლებს. თუ გულისხმობს პროგრესულს, ვიქტორ ჰიუგომ არამცთუ აღადგინა იგი, არამედ განამტკიცა და გადაზარდა რეალიზმში.

საყურადღებოა კიტა აბაშიძის შემდეგი სიტყვები: „ახალ ლექსებში (იგულისხმება ზემოჩამოთვლილი კრებულები — დ. ფ.) მან (ვ. ჰიუგომ — დ. ფ.) ლირიზმი უმაღლეს ხარისხამდე აღიყვანა. თუ კი ლირიზმის განსაკუთრებული თვისება არის პირად გრძნობათა გამოხატვა, თავისს დღეში ვერც ერთი პოეტი ვერ შეედრება ჰიუგოს. მაგრამ ის კი არ უნდა დავივიწყოთ, რომ თავისს პირად გრძნობათა სახით ჰიუგო საზოგადოების გრძნობას გამოსთქვამს. ჰიუგო თვისის პირადობის დაცვით სხვას იცავს. წყევლა-კრულვითა, ზარითა და რისხვით ეკვეთება არა თვისს პირადს მტრებსა, არამედ იმათ, რომელთაც მასთან ერთად შეავიწროეს სხვებიც, ხალხიც, საზოგადოებაც, რომელთაც დასტანჯეს ქვეყანა და ცრემლი აფრქვევინეს. იგი მხოლოდ პირადის გრძნობით ჰმოსავს ყოველივესა, თვით განყენებულს საგნებსაც კი. ეს შესანიშნავი მხატვარი არა ჰხატავს მარტო ხატვისათვის; ეს გასაოცარი მგოსანი არაფერს გვიამბობს მარტო ჩვენის ყურის დასატკბობლადა. ყოველი სურათი და ყოველი ამბავი ამა თუ იმ აზრის დასამტკიცებლად უნდა, ყოველი სიტყვა ამა თუ იმ მისის გრძნობის გამოსათქმელად და შესატყობინებლად აქვს წარმოთქმული“.

ასეთი საგულისხმო მსჯელობის შემდეგ კ. აბაშიძე ვიქტორ ჰიუგოს მიაკუთვნებს ერთ უპირველეს ადგილთაგანს არამცთუ მე-19 საუკუნის, არამედ ყოველი დროისა და ყოველი ქვეყნის უდიდებულეს მგოსანთა და შესანიშნავ ლირიკოსთა შორის, რომლის მიბაძვა ველარავინ შესძლო.



# ქუთაისის თეატრში

**ქეთევან დეისაძე**

ქუთაისელთა ცხოვრებაში ბევრი რამ მოხდა საგულისხმო და უპირველესად ის, რომ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელობა სსრ კავშირის სახალხო არტისტს აკაკი ვასაძეს მიენდო. არასოდეს შეიქმნება კეთილშობილი სცენური ნაწარმოები, თუ მისი შემქმნელი პირადი კეთილშობილებით არ არის დაჯილდოებული, — გვასწავლის სტანისლავსკი და ამას ერთხელ კიდევ გვარწმუნებს ა. ვასაძის მაგალითი. ვინ იტყვის, მსახიობს დედაქალაქის სცენა მოსწყინდაო, შემოქმედების მარადი ტრიუმფი მობეზრდაო — ნიჭიერი მსახიობისა და რეჟისორის კეთილშობილური მიზნები დიდი მანძილით სცილდებიან პირადულის საზღვრებს.

— ქუთაისში მარჯანიშვილის ტრადიციების დიდმა სიყვარულმა, ახალგაზრდა თაობის კოტესებურად აღზრდის სურვილმა ჩამომიყვანა, — ამბობს იგი და გწამთ, რომ ამ სიტყვების მიღმა საბჭოთა ადამიანის მოვალეობის სრული შეგნება, კეთილშობილური თავმდაბლობა და ხელოვნების უანგარო სიყვარულია.

თუ ისეთი დიდი შემოქმედი, როგორიც ა. ვასაძეა, თანახმაა თავისი აქტიორული ცხოვრების შემდგომი წლები პერიფერიების სასცენო ხელოვნების ამაღლებას მოახმაროს, რაღა ეთქმით იმ დამწყებ მსახიობებს, თეატრალური ინსტიტუტის ყველა იმ კურსდამთავრებულთ, თბილისის თეატრების სცენებზე რომ „შეყუჟულან“ და პატარა უმნიშვნელო როლის შესრულებით კმაყოფილდებიან. განა ისინი მეტ სარგებლობას არ მოუტანენ როგორც საკუთარ თავს, ასევე ხალხს პერიფერიების სცენებიდან?!

ა. ვასაძის კეთილშობილური დასაწყისი მათთვის სამაგალითო გაკვეთილია.

იმ მცირე დროის მანძილზე, რაც თეატრს ახალი ხელმძღვანელობა ჩაუდგა სათავეში, ბევრი სასურველი ცვლილებები შეიმჩნევა აქ. მიმზიდველად გამოიყურება გემოვნებით შერჩეული ახალი რეპერტუარი. მიმდინარე სეზონის სამ თვეში თეატრმა ოთხი ახალი დადგმა წარმოადგინა: ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილი“, ი. გედევანიშვილის „მსხვერპლი“, ა. სუმბათაშვილი-იუჟინის „ღალატი“ და დიუმანუასა და დენერის „დონ სეზარ დე ბაზანი“. სარეპერტუარო გეგმა სხვა ბევრს, საინტერესოს გვპირდება. უნდა დაიდგას ვ. მაიაკოვსკის „აბანო“, კ. ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარი“ — ამავე სახელწოდების რომანის მიხედვით, ს. შანშიაშვილის „ამბავი ჯორჯიაშვილისა“, გ. მდივნის „ბაგრატიონი“ და ვირტას „თვალუწვდენელი სივრცეები“. წინა სეზონის რეპერტუარიდან აღადგენენ პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერს“, შ. დადიანის „კაკალ გულში“ და „გუშინდელნს“, შექსპირის „ოტელოს“.

— განზრახული გვაქვს კავშირი დავამყაროთ არა მარტო ცნობილ ქართველ მწერლებთან, არამედ დავდგათ ადგილობრივი ავტორების პიესებიც. თეატრი ზრუნავს ასეთ ავტორთა შემოსაკრებად; ადგილობრივ მომუშავე დრამატურგი ლ. სანიკიძე ჩვენი დავალებით სწერს დრამას „ქუთათურები“, რომელშიც რესპუბლიკის მეორე ინდუსტრიული ცენტრის მცხოვრებთა შრომით საქმიანობასა და მიღწევებზე იქნება მოთხრობილი. თანამედროვეობის ამსახველ ორ პიესას — „თვალუწვდენელი სივრცეები“ და „კოლხეთის ცისკარი“ პარტიის ოცდამეერთე ყრილობას მივუძღვნით, ხოლო მაიაკოვსკის „აბანოს“ განხორციელებით მონაწილეობას მივიღებთ გაზაფხულზე ამიერკავკასიის მუსიკალური თეატრების ფესტივალში, — მოგვითხრობს ა. ვასაძე.

მას ახლა ახალგაზრდა რეჟისორის თ. მესხის მორიგი დადგმის „დონ სეზარ დე ბაზანის“ რეპეტიციაზე მიეჩქარება. პირველად ვნახე ა. ვასაძე რეპეტიციაზე და გავვოცდი. ნუთუ ასე მშვიდი, ასე აუღელვებელია იგი საკუთარ დადგმებზე მუშაობის დროსაც? ნუთუ დამწყებ რეჟისორს ყველაფერი სწორად ჰქონდა გაკეთებული და მის ჩარევას არ საჭიროებდა? — ამის შესახებ თვით თ. მესხმა ამიხსნა ცოტა მოგვიანებით.

— ა. ვასაძეს არ უყვარს დამდგმელი რეჟისორის მუშაობაში ჩარევა რეპეტიციის მსვლელობისას. იგი ყოველივეს იმახსოვრებს, ყოველ წვრილმანს აღნუსხავს, შემდეგ კი თავისთან მიმიხმობს საკონსულტაციოდ.

მსგავსი საუბრის ჩატარება უხდება ა. ვასაძეს ცალკე მსახიობებთანაც. იგი ხშირად, ძალიან ხშირად მოუთხრობს ახალგაზრდებს საკუთარ სცენურ პრაქტიკასა და გამოცდილებაზე, ცდილობს დანერგოს მათში ცხოვრების ღრმა დაკვირვებისა და სცენური ასახვის უნარი ყოველგვარი ყალბი და ზერელე ეფექტების გარეშე.

ჩვენ შესაძლებლობა გვქონდა გვენახა თეატრის სამი ახალი დადგმა: ა. სუმბათაშვილი-იუჟინის „ღალატი“, ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილი“ და ი. გედევანიშვილის „მსხვერპლი“, რომელთაგან პირველი ორი, თეატრის მთავარმა რეჟისორმა ა. ვასაძემ, ხოლო უკანასკნელი რეჟისორმა ო. ალექსიშვილმა განახორციელა.

ა. ვასაძის, როგორც რეჟისორის შემოქმედებით უნარზე კარგისა და მოსაწონის თქმით ჩვენს მკითხველს ვერ გავაკვირვებთ. როდესაც „ღალატის“ ვასაძისეულ დადგმას ვუყურებთ, კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ უშედეგოდ არ ჩაუვლია მისთვის ქართული საბჭოთა თეატრის რეფორმატორის კ. მარჯანიშვილსა და ს. ახმეტელთან მუშაობის წლებს. საქართველოს თეატრების სცენებზე მას ორმოცამდე პიესა აქვს დადგმული და ერთ-ერთი მათგანის, ი. მოსაშვილის „ჩაძირული ქვების“ განხორციელებით 1948 წელს მესამედ დაიმსახურა სტალინური პრემიის ლაურეატობა.

ქუთაისში ა. ვასაძემ სიმართლით აღადგინა მესხიშვილისა და მარჯანიშვილის რეჟისურის საუკეთესო ტრადიციები: სცენური რიტმი, გმირთა შინაგანი განწყობილების გადმოცემა, ფიცხელი ტემპერამენტი. ზედმიწევნით აუღო ალღო აქტიორთა შემოქმედებით პოტენციას, თეატრის მაქსიმალურ შესაძლებლობას. რეჟისორის შეუმცდარ ალღოზე მეტყველებს თუნდაც ის გარემოება, რომ ზეინაბის რთული და საპასუხისმგებლო როლი მან თამამად შესთავაზა მსახიობს ქ. კოლხიდელს. ქ. კოლხიდელის დრამატული ამპლუის სისწორით მიგნება — ეს რეჟისორის ბედნიერი აღმოჩენაა და აქ მსახიობმა ყოველგვარ კეთილ მოლოდინს გადააჭარბა. ქ. კოლხიდელის ზეინაბი ერთ-ერთი ბრწყინვალე სახეა ამ როლის შემსრულებელთა მხატვრულ გალერეაში. გმირის ბუნების სწორი ჩვენებით, კარგად მიგნებული დეტალებით მან მხატვრულად სრულფასოვანი, სცენურად შთამბეჭდავი სახე შექმნა. ქ. კოლხიდელის წარმატება ზეინაბის როლში შედეგია იმ ღრმა და სერიოზული მუშაობისა, რომელიც რეჟისორმა მსახიობთან ერთად გასწია.

ქუთაისის თეატრს მუდამ ჰყავდა საიმედო, ძლიერი ბირთვი საშუალო თაობის მსახიობთა სახით. აქ მიიღეს პირველი სასცენო ნათლობა, ამ კედლებში აღიზარდნენ და აქვე გამოავლინეს კარგი სამსახიობო მონაცემები ვ. მეგრელიშვილმა, შ. პირველმა, თ. კიკნაძემ, გ. ნაცვლიშვილმა, შ. გელაშვილმა, გ. კოკელაძემ და სხვ. მსახიობ ვ. მეგრელიშვილს მრავალი საინტერესო საპასუხისმგებლო სახე შეუქმნია ქუთაისის სცენაზე (კარლ მოორი „ყაჩაღებში“, ლევანი „სამშობლოში“, ოტელო „ოტელოში“ და სხვ.), მაგრამ მისი აქტიორული ტალანტის სრულყოფით ჩვენება, ვფიქრობთ მაინც ა. ვასაძის რეჟისორულ ხელოვნებას უნდა მიეწეროს.

სიდარბაისლე, სიდინჯე გხიბლავთ ვ. მეგრელიშვილის მიერ განხორციელებულ ოთარ-ბეგის სახეში, რომელიც ოსტატურად ერწყმის იმ თანდაყოლილ ქედმაღლობას, ძვალ-რბილში რომ ჰქონდათ გამჯდარი ქართველ დიდგვაროვანთ. მრავალ საინტერესო სცენებს შორის რეჟისორული და აქტიორული ოსტატობით გამოირჩევა მესამე სურათის ფინალი — ოთარ-ბეგისა და ზეინაბ დედოფლის დიალოგი. თითქოს სარქველდაცულმა ქვევრმა ამოხეთქაო, მსახიობის თამაშის ზომიერი ტემპი თავბრუდამხვევი სისწრაფით გამოარღვევს „დამაკმაყოფილებელის“ ჩარჩოებს და მაყურებლის წინაშე ბობოქარი გრძნობებით ამეტყველებული ქართველი მამულიშვილი დგას, სულის სიღრმემდე რომ შეგძრავთ მკერდიდან ამოხეთქილი, ომახიანი შეძახილით: „გაგვიძეხ, გვიწინამძღვრე, ჰოი, წმიდაო დედოფალო!“.

ოსტატურად ანსახიერებენ დაკისრებულ როლებს მსახიობები გ. ნაცვლიშვილი (სოლეიმანი), შ. პირველი (ანანია), ა. ქელბაქიანი (დათო), თ. კიკნაძე (ისახარი), ვ. გვენცაძე (საბაბერი) და სხვები.

წელს თეატრალური ინსტიტუტიდან ხუთი კურსდამთავრებული ახალგაზრდა მოვიდა, რომელთაც უკვე მიიღეს საპასუხისმგებლო როლები სეზონის მიმდინარე დადგმებში. საერთოდ პერიფერიებში და განსაკუთრებით ქუთაისის თეატრში ერთი გარემოება იქცევდა ყურადღებას. ბედნიერი იშვიათობა გახლდათ, ახალგაზრდა მსახიობს რამდენიმე სეზონი გაეძლო მის სცენაზე. უმეტესობა ერთი-ორი წლის, უფრო მეტიც, სულ რაღაც თვეების შემდეგ, როცა ორიოდე სერიოზული როლის შესრულებას მოასწრებდა და თავს დასრულებულ სცენის ოსტატად წარმოიდგენდა, უკვე დედაქალაქის თეატრებისაკენ იხედებოდა. ასეთი არასერიოზული დამოკიდებულება სცენისადმი, ადგილგადანაცვლება და „მოსაწონი თეატრების“ ძებნა ცუდად მოქმედებს მსახიობის ტალანტზე, მის აქტიორულ ზრდაზე. ეს უარყოფითად მოქმედებს, აგრეთვე, იმ თეატრალურ კოლექტივებზე, რომელსაც ეს „ბედნიერი გასტროლიორი“ ესტუმრება. ყოველ თეატრს ხომ თავისი გარკვეული, სპეციფიკური სახე აქვს, მის



# ნიჭი და შრომა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელ წლებში, ქართულ სახვით ხელოვნებაში დიდი სიახლე და მრავალფეროვნება შეიტანა ახალგაზრდა თაობამ.

ქართველი მოქანდაკეების, გრაფიკოსების, ფერმწერების ნამუშევრები გასულ წელს მრავალ გამოფენას ამშვენებდა, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ და ყველგან მოწონება დაიმსახურა.

ახალგაზრდული აღმაფრენა, ახლისაკენ სწრაფვა, გემოვნება და ნიჭი იგრძნობა მათ ნამუშევრებში. ეს ყველასათვის სასიამოვნო და გასახარელია, რადგანაც მათი შემოქმედებით განისაზღვრება ჩვენი ხელოვნების ხვალინდელი დღე.

ახალგაზრდა ქართველ ხელოვანთა ნაკადში ერთ-ერთი საპატიო ადგილი უჭირავს მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელს.

ქართველმა საზოგადოებრიობამ ე. ამაშუკელი უფრო მეტად თბილისის საიუბილეო დღეებში გაიცნო.

ამაშუკელის ნამუშევართაგან განსაკუთრებით გამოირჩევა ქართველი ქალის ალეგორიული ფიგურა, რომელიც დღეს თავს დაჰყურებს ჭალარა თბილისს. იგი გამოხატავს ჩვენი ერის ტრადიციას — მტერს ხმლითა და მოყვარეს თასით რომ უხვდება. ეს საინტერესო კომპოზიცია გადაწყვეტილია მონუმენტურ ფორმაში, სადად და ლაკონურად. სულ მალე ეს უზარმაზარი ქანდაკება ფოლადის ფურცლებით შეიმოსება (იგი ამჟამად ხის მასალითაა მოპირკეთებული).

ე. ამაშუკელმა შექმნა, აგრეთვე, არქიტექტორული შემოსასვლელები, რომლებიც სამი მხრიდან გაუკეთდა საიუბილეო დღეებში დედაქალაქს.

საინტერესო და ორიგინალური იყო, აგრეთვე, მისივე ქართული მედალიონები. ერთ-ერთი მათგანი, შედარებით ყველაზე დიდი (2 მ. და 30 სმ დიამეტრით) რუსთაველის გამზირის დასაწყისში, საქართველოს ისტორიულ მუზეუმის კედელზეა მიმაგრებული. ბრინჯაოს მედალზე გამოსახულია შოთა რუსთაველის პროფილი და წარწერა „რუსთაველის გამზირი".

ისე ნუ გავიგებთ, თითქოს საიუბილეო დღეებამდე ამაშუკელს არაფერი შეექმნას. თავის დროზე საზოგადოების ყურადღება მიიქცია მისმა სადიპლომო ნამუშევარმა „პეტრე ბაგრატიონი". სტუდენტობის წლებში მოქანდაკემ შექმნა მოჭიდავის მძლავრი ფიგურა, რომელიც დღესაც დიდ მოწონებას იმსახურებს.

ე. ამაშუკელმა შექმნა ციკლი, რომელიც ქართულ ხალხურ ზნე-ჩვეულებებზეა დამყარებული. ესენია მისი ბარელიეფები — „ლხინი", „ჭიდაობა", „ალავერდი", „თამადა" (ამ ციკლზე მუშაობას იგი დღესაც განაგრძობს).

მაგრამ ყველაზე დიდ გამარჯვებას ახალგაზრდა ხელოვანმა მიაღწია გასული წლის ნოემბერში, როდესაც მან პირველი პრემია დაიმსახურა ვახტანგ გორგასალის ძეგლის პროექტზე გამოცხადებულ კონკურსში.

ჩვენი სახელოვანი მეფისა და მხედართმთავრის, თბილისის დამაარსებლის ძეგლის შექმნა, ელგუჯას ადრე ჰქონდა გადაწყვეტილი. ამიტომ იყო, რომ ასპირანტურაში შესვლისას (1956 წ.) მან გორგასალის ძეგლის პროექტის შექმნა აირჩია.

მოქანდაკის სახელოსნოში დღესაც ნახავთ ცხენზე ამხედრებულ მხედართმთავრის მინიატურულ ფიგურებს. ეს ესკიზები მხატვრის ძიებისა და შემოქმედებითი შრომის შედეგად არიან შექმნილნი.

როდესაც გორგასალის ძეგლის პროექტზე კონკურსი გამოცხადდა და დასადგმელი ადგილიც გაირკვა, ელგუჯამ ჩანაფიქრი ძირითადად შეცვალა. მან გაითვალისწინა დასადგმელი ადგილის თავისებურება და შექმნა კომპოზიციურად უაღრესად შთამბეჭდავი, მძლავრი მონუმენტური ფიგურა, რომლის ღირსებაზე ლაპარაკობს ის ყველაფრისმთქმელი ფაქტი, რომ მან ამ მეტად საინტერესო და მნიშვნელოვან კონკურსში პირველი პრემია დაიმსახურა.

რაზე მუშაობს ამჟამად ე. ამაშუკელი? რა თქმა უნდა, პირველ რიგში იგი მთელი პასუხისმგებლობითა და მონდომებით იმუშავებს ვახტანგ გორგასალის ძეგლზე.

მომავალ რესპუბლიკურ გამოფენაზე მას განზრახული აქვს წარმოადგინოს ქალიშვილის ფიგურა, ამას გარდა იგი გააგრძელებს მუშაობას ბარელიეფზე „მოყმე და ვეფხვი" და ფეხბურთელ მ. მესხის პორტრეტზე.

ეხებოდა რა ე. ამაშუკელის ბარელიეფებს, ჟურნალი „ტვორჩესტვო" სწერდა: „მხატვარი ისე ლამაზად და პოეტურად მოგვითხრობს ქართველი გლეხების შრომასა და დასვენებაზე, ისე ბრწყინვალედ ფლობს მასალას, ისე ზუსტად, თავისუფლად, პლასტიკური ბუნებრიობით ხატავს მოცულობათა სიბრტყეს, რომ ამ ნამუშევრებში ხედავთ ნამდვილ, უკვე დიდ ხელოვანს".

სასიამოვნოა, რომ ასეთი დადებითი აზრი არსებობს სპეციალისტებს შორის ე. ამაშუკელზე. იმედია, ახალგაზრდა მოქანდაკე მთელ თავის ნიჭსა და ენერგიას ქართული ხელოვნების აყვავების საქმეს მოახმარს.

გ. გორისელი

---

წევრებს ანსამბლურობა და საკუთარი სტილი ახასიათებთ: ყოველი სიახლის შეტანა მასში (და, მით უმეტეს, თუ იგი არაპროფესიონალთაგან მომდინარეობს) საგრძნობ „ჩავარდნებთანაა" დაკავშირებული. თეატრის ახალი ხელმძღვანელობის მთავარი ამოცანაა დასი მხოლოდ სპეციალური, თეატრალური განათლების მქონე ახალგაზრდობით შეივსოს.

* * *

...დამთავრდა ბრძოლა. ქართველთა ლაშქარმა სძლია სოლეიმანის მხედრობას. სადაცაა აღსრულდება ზეინაბ დედოფლის ოცი წლის ნატვრა, საქართველოს ტახტს კვლავ ქართველი ბატონიშვილი, მისი პირმშო დაეპატრონება. მაგრამ საზეიმო ორატორიის ნაცვლად სამგლოვიარო მუსიკის ჰანგებში მეომრებს ერეკლეს განგმირული სხეული შემოაქვთ. საბრძოლო დროშა ეშვება ბედკრული ბატონიშვილის ცხედარზე და სუსტი, დაბალი კრინით წამოწყებული „ქრისტე აღსდგა" რელიგიური ექსტაზით გათრობთ. სიმღერა თანდათან ძლიერდება, ფართოვდება, ძლევამოსილებაში გადადის და გგონიათ ეს საქართველო აღსდგაო მკვდრეთით, ქართველი მამულიშვილები აღსდგნენო „დამთრგუნველნი სიკვდილისა სიკვდილითა". სხვა რომ არაფრით მოვიხსენიოთ, „ღალატის" ეს შესანიშნავი ფინალი და „მოკვეთილის" ნისლიანი დასაწყისი დაგიხატავდათ ა. ვასაძის მდიდარ ფანტაზიას.

ახალი სამხატვრო ხელმძღვანელობის მიზანია თეატრის მუსიკალური სახის წინ წამოწევა. ამიტომ ორკესტრის რიცხვი თითქმის ერთიორად გაადიდეს, ხოლო დადგმების მუსიკალური გაფორმება ცნობილ ქართველ კომპოზიტორებს ა. ბალანჩივაძეს, ვ. მურადელს, ს. ცინცაძეს, რ. გაბიჩვაძეს და სხვებს დაავალეს.

საჭიროა შევნიშნოთ, რომ მარტოოდენ ორკესტრის რიცხობრივი ზრდა და კარგი მუსიკალური ნაწარმოების შერჩევა არ არის საკმარისი. იგი უნდა დაკომპლექტდეს, აგრეთვე, მაღალკვალიფიციური მუსიკის შემსრულებლებით.

* * *

— რას ფიქრობთ თეატრის მომავალზე, როგორი უნდა იყოს ხვალინდელი დღის პერსპექტიული სახე? — ვეკითხებით ა. ვასაძეს და ისიც დინჯად გვიპასუხებს:

— ხომ იცნობთ ქაშვეთს, ქართული ორნამენტებით შემკობილ ქაშვეთს?! გინახავთ სვეტიცხოველი, ცხოველი მემატიანე ძველი ქართული ხუროთმოძღვრული სტილისა, მცხეთაში ჯვარი მეგულება სახვითი ხელოვნების იშვიათ ნიმუშად, დასავლეთში ბაგრატის ნაციხარი და გელათის მონასტერი მაოცებს, მადლიანი ყალმით დროსთან მეტოქეობაში გადარჩენილი. მე მინდა დრამატულმა ხელოვნებამაც აიგოს მსგავსი ტაძარი, ისეთი, რომელიც ყოველი დროისა და ყოველგვარი ჟამთა სიავის მიღმა დადგება, ისეთი, როგორიც ჩვენში მარტოოდენ მარჯანიშვილისა და რუსთაველის სახელობის თეატრები თუ არიან. მინდა დიდ პროფესიულობასთან ერთად ქუთაისის მესხიშვილის სახელობის თეატრსაც გააჩნდეს ადგილის ეშხი და კოლორიტი, ქართული, ქუთათური სული.

სხვა, რა გვეთქმის, — მალე გვენახოს მხატვრის ეს ოცნებაც ასრულებული!

# ლექსები

მაყვალა მრევლიშვილი

## სათავე

ჭერი ბავშვის კისკასით რომ აევსო,
დაილოცა ის სიცოცხლის სათავე.
— სიპ ქვაზედაც კაცს რომ დაასახლებსო —
დიდი დედებს ამ უნარით ხატავდნენ.
ზოგზე უთქვამთ: „ჩახმახივით ქალია“
ზოგს უნაზეს ნარგიზივით ხატავენ.
დედის ხელის მორჩილები არიან
სიყვარულიც და ოჯახის სადავეც.
ბავშვობაში ნებიერი მორჩილი,
პატარძლობას — მშვენიერი შროშანი,
კერიაზე — მუხის დედაბოძივით
შერუჯული ჩვენი მანდილოსანი,
ჰშიოდა და ნამუსი არ გაყიდა,
მკლავდაწყვეტილს თან კოკები, თან ბავშვი...
მთაწმინდაზე ქოხში მბჟუტავ ჭრაქითაც
უნათებდა ქმარს ავლაბრის სტამბაში.
დრო იყო, და ქვრივს გაჰქონდა ხნულები,
ქამი ედგა — ფარხმალს აიტაცებდა.
მშვიდობა და სათნოება ულევი
ამშვენებდა თავის ვაჟიკაცებთან.
გულუხვი და მრავალჯერ გულნაკლული
დღეს შვილები მადლობით რომ აგვავსეს
აკვდებოდნენ ძუ-ვეფხვივით გაკრული
მტრისგან თვალში ამოღებულ აკვანზე.
არ უმძიმდათ გამოკლებულს ტოლებთან
სიყვარულით გაწეული უღელი
და უმწიკვლო ლეჩაქს ჩაიყოლებდა
ცხრა შვილისგან დაკრეფილი გულხელი.
დღეს, სახალხო სარბიელზე გასული,
ტოლს არ უდებს დანიშნულს თუ მარჩენალს,
შვიდწლედებშიც უთვალავი ასული
ზედ დააჩნევს ლაზათიან მარჯვენას.
ცად აგაფრენს მოზარდების წკრიალი,
გიხარია, მომავალი მიანდო.
შთამომავლებს — თვალიც ნაპერწკლიანი
ირმის ძუძუ თითქოს უწოვიათო.
მდიდარი ხარ საქართველოს ზეცაო,
შინ და გარეთ, ქარგავენ თუ ართავენ,
დედის სახეს მიაშუქებ მზესავით
სიყვარულის და სიცოცხლის სათავედ.

ოთარ ჭილაძე

## სევანის ნიჟარები

თეთრი ნავები... თეთრი ჩიტები...
და მლაშე ქარი, მლაშე და ცივი,
რომელიც ხრიოკ მთებს ეჭიდება
და დატყვევებულ ჩიტივით წივის.
მე მიხარია, რომ შენი წყნარი
და დიდი გული გადამიშალე.
და გაქვავებულ ცრემლების დარად
ხელში ვიგროვებ ლამაზ ნიჟარებს.

* * *

დღეს უფრო ცხელა... და კრამიტებზე
ცახცახებს სიცხე, როგორც სურვილი
შენი მეორედ და მალე ნახვის.
დღეს უფრო ცხელა... და თეთრი მტვერი
ბრჭყვიალებს მზეში, როგორც თვალები —
შენთან ყოფნის და საუბრის შემდეგ.
დღეს უფრო ცხელა... და ღრუბლებს შორის
მიფრინავს ქორი, რომელმაც ალბათ,
მაღალ არარატს შეასწრო თვალი.

* * *

ეჩმიაძინის ჯვარი და სვეტი...
ეჩმიაძინის შუქი და ჩრდილი...
და ბრწყინავს ოფლის და სისხლის წვეთი,
დიდი წარსულის და ღმერთის წილი.
და ღმერთისადმი რიდით და შიშით
იწყება ზურნა, იწყება დოლი,
იწყება სიცხე და ტაძრის ჩრდილში
ანთებულ კოცონს გაურბის ბოლი.
მე დამინახავს შენს დიდ თვალებში
ცეცხლწაკიდებულ ქარის თარეში,
ნავენახარიც და ნასახლარიც —
მე დამინახავს შენს დიდ თვალებში.
მაგრამ დღეს მაინც დგას შენი სვეტი,
მიწას შენგანაც ეცემა ჩრდილი
და ბრწყინავს ოფლის და სისხლის წვეთი,
დიდი წარსულის და ღმერთის წილი.

# მედიცინის გამარჯვება სისხლის კიბოზე

1958 წლის 15 ოქტომბერს იუგოსლავიის ვენკას ატომურ ცენტრში ატომის რეაქტორმა „თავი აიწყვიტა“, სხვანაირად რომ ვთქვათ, რეაქტორმა გაუსწრო თავის კრიტიკულ დონეს, მოხდა უბედური შემთხვევა. ექვსმა ახალგაზრდა იუგოსლაველმა მეცნიერმა (თვითეული დაახლოებით 25 წლის იქნებოდა, მათ შორის ერთი ქალია), განიცადა ტოტალური რადიაცია. ექიმმა პანდიკმა დასვა დიაგნოზი: ყველაზე ძლიერ დაზიანდა ვრანიკი, მან სამჯერ მეტი სასიკვდილო დოზა მიიღო, ოთხს სასიკვდილო დოზა აღმოაჩნდა, მხოლოდ მეექვსეს ჰქონდა გადარჩენის შანსი.

სასიკვდილო სხივები მოხვდა მეცნიერებს სასიცოცხლო ორგანოებში, პირველ ხუთს ძვლის ტვინის უჯრედებში, დაუზიანდა მათ სისხლის ბურთულების წარმოქმნის მთავარი ორგანოები. მათი სისხლი ღარიბდებოდა, ბურთულები მეჩხერდებოდა თანდათანობით და სიკვდილი ახლოვდებოდა. როგორც ცნობილია, რადიაცია აზიანებს საჭმლის მომნელებელ და სასუნთქ ორგანოებს, მაგრამ აქ ყველაზე ტრაგიკული ის იყო, რომ რადიაცია სუსტად თუ ძლიერად შეიჭრა ლორწოვან გარსშიც.

მათ ჰქონდათ ერთადერთი იმედი. გამგზავრებულიყვნენ პარიზში, სადაც რამდენიმე თვეა ამ მიმართებით აწარმოებდნენ ექსპერიმენტებს. ექიმმა პანდიკმა გადაწყვიტა თავისი ავადმყოფები სამკურნალოდ გაეგზავნა კიურის მიერ შექმნილ სამკურნალო დაწესებულებაში. 20 ოქტომბერს ორლის აეროდრომზე სპეციალურმა თვითმფრინავმა ეს ავადმყოფები ჩამოიყვანა. ავადმყოფები მაშინვე მოათავსეს საავადმყოფოში და რადიაციის წინააღმდეგ დაუწყეს კლასიკური მკურნალობა. დაუწყეს მკურნალობა ანტიბიოტიკებით, ინფექციის თავიდან ასაცილებლად. ორგანიზმის გაძლიერების თვალსაზრისით, ავადმყოფებს დაუნიშნეს ხელოვნური კვება, სისხლის ბურთულების კონცენტრირებული გადასხმა. მიუხედავად ამისა, ტკივილები ავადმყოფებს მაინც ჰქონდათ. 11 ნოემბერს ვრანიკის ჯანმრთელობა გაუარესდა.

საჭირო იყო სასწრაფო ზომების მიღება, ექიმ მატეს პერსონალმა გადაწყვიტა მათ მიმართ გამოეყენებინა ახალი ტექნიკა — ძვლის ტვინის აცრა. ამ მხრივ დღემდე ექსპერიმენტმა შედეგი მოგვცა მხოლოდ ცხოველებზე (პროფესორმა მატემ ამ მეთოდით განკურნა ლაბორატორიაში სისხლგაწყალებული (სისხლის გათეთრება) თაგვები).

11 ნოემბერს კიურის საავადმყოფომ თხოვნით მიმართა ძვლის ტვინის დონორებს, რომლის შედეგად სენ-ლუის საავადმყოფომ მიიღო რამდენიმე დონორის თანხმობა. დონორთა შორის თანხმობა განაცხადა ოთხი ბავშვის დედამ. ექიმი დიდი სიყვარულით შეხვდა მათ. ოცჯერ უჩხვლიტეს მათ, ორ დონორს რიგრიგობით გამოუღეს 250 კუბიკური სანტიმეტრი ძვლის ტვინი, განსაზღვრეს რა სისხლის ჯგუფი, ორ ავადმყოფს შეუშხაპუნეს მკლავის ვენაში. ამრიგად მათ, ერთმაც და მეორემაც მიიღეს 12 მილიარდი უჯრედი, რომელთა ფიქსაცია მოხდა ავადმყოფების ძვლის ტვინში სისხლსადენი მილების საშუალებით.

როგორც ცნობილია ასეთი სახის ოპერაციის ჩატარებას მრავალი დაბრკოლება ელობებოდა წინ, სუსტი ორგანიზმი ვერ უძლებდა, ახლად შეშხაპუნებული უჯრედები სწრაფად ნადგურდებოდა. ექიმები უძლურნი რჩებოდნენ. რა ხდებოდა? ორ ოპერირებულს ერთ კუბიკურ სანტიმეტრ სისხლში რჩებოდა მხოლოდ 15 წითელი ბურთულა. ოთხი დღის შემდეგ კი წითელი ბურთულების რაოდენობამ მოიმატა, მათმა რაოდენობამ მიაღწია 3.500-მდე, რის შედეგადაც გამოფიტულ ორგანიზმს სასწრაფოდ ცხოვრება უბრუნდება. სამწუხაროდ ვრანიკის ორგანიზმში შიგნეული და ფილტვები ძლიერ დაზიანებული აღმოჩნდა და იგი 16 ნოემბერს გარდაიცვალა.

ჩატარებულმა ექსპერიმენტმა გაამხნევა ექიმები. 17 ნოემბერს მესამე და მეოთხე ავადმყოფმა თავის დროზე მიიღეს ძვლის ტვინი. 20 ნოემბერს ოპერაცია გაუკეთეს მეხუთეს. მხოლოდ მეექვსე ავადმყოფის სისხლის ბურთულები კრიტიკულ მდგომარეობაში აღმოჩნდა და აცრას თავი აარიდეს.

დღეები გადიოდა... ის რაც შეუძლებლად გვეჩვენებოდა, აღსრულდა, ექიმებმა შესძლეს ამ ავადმყოფთა საკუთარი ძვლის ტვინის მოსპობა, რის შემდეგ ავადმყოფებმა თავი კარგად იგრძნეს. შეშხაპუნებული ძვლის ტვინი მთელი თვის განმავლობაში ნორმალურად მუშაობდა, ორგანიზმი მდიდრდებოდა აუცილებელი სისხლის ბურთულებით. ერთი თვე და... კრიტიკულმა მდგომარეობამ განვლო. ამ გაბედული მოქმედების გარეშე ასეთი წარმატების მიღება შეუძლებელი იყო. შესანიშნავია, რომ ძვლის ტვინის ზოგიერთმა უჯრედმა მთლიანად არ დაჰკარგა თავისი ფუნქცია, სწრაფად აღდგენილი იქნა ქსოვილი. ამ უკანასკნელს უნარი მიეცა სისხლში მიეწოდებინა ბურთულები. ახალგაზრდა მეცნიერებს სიცოცხლე დაუბრუნდათ და 14 თებერვალს ლიონის სადგურიდან სრულიად განკურნებული სამშობლოში გაემგზავრნენ.

სპეციალისტმა ექიმებმა, რომელთაც ეს გამარჯვება მოიპოვეს, დღემდე იცოდნენ მხოლოდ თეთრი სისხლით დაავადებული თაგვების მკურნალობა. წინათ ვინ გაბედავდა ადამიანზე მოეხდინა ასეთი მასობრივი გამოსხივება, როგორიც ახლა იუგოსლაველებს დაემართათ? ახლა უკვე იციან ზღვარი, სანამდე შეიძლება ამ მიმართებით წასვლა. ახლა უკვე ნათელია, რომ გამოსხივებით შეიძლება ადამიანის მოკვლაც და გადარჩენაც. გადარჩენა ხდება დაავადებულის ტვინის აღდგენით. ამრიგად, გაიხსნა ახალი პერსპექტივა, თუ როგორ უნდა ვუმკურნალოთ თეთრი სისხლით დაავადებულებს.

„ლუმანიტე დიმანშ“-იდან.






ეროვნული
ბიბლიოთეკა

ასე აღნიშნეს ბრძოლის დამთავრება საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა ტ. პეტროსიანმა (მარჯვნივ) და ექს-ჩემპიონმა მ. ტალმა.



ბ. გურგენიძე და „მისი გულის დედოფალი“.

## მეგობრული შარჟები ო. სეხნიაშვილისა



ამას წინათ, თბილისში ჩატარდა საბჭოთა კავშირის XXVI საჭადრაკო პირველობა, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია, არა მარტო ჩვენი რესპუბლიკის, არამედ მთელი საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს ჭადრაკის მოყვარულთა შორის. რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე ერთმანეთს შეერკინენ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო გროსმეისტერები და ოსტატები. დარბაზი ყოველდღე გაჭედილი იყო ხალხით, იგი ვერ იტევდა ყველა მსურველს, მაყურებლები გაფაციცებით ადევნებდნენ თვალს ჭადრაკის დაფებზე გამართულ მწვავე და საინტერესო ორთა ბრძოლებს. XXVI საჭადრაკო პირველობა შევა ჭადრაკის ისტორიაში, როგორც ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი ფურცელი.





ტ. პეტროსიანი.
„გასწი, მერანო, შენს
ჭენებას არ აქვს საზ-
ღვარი“.




ეროვნული ბიბლიოთეკა



გროსმეისტერი ს. ფლორი მორიგი კორესპონ-
დენციის ბეჭდვისას.





მ. ტალი.

# ჩემი შეხვედრები მსოფლიო ჩემპიონებთან

## ანდრე ლილიენგალი

საერთაშორისო გროსმეისტერი

ეს იყო XXVI ჩემპიონატის ერთ-ერთ ტურის დროს. რუსთაველის სახელობის თეატრის ლოჟაში ვიჯექი და თვალს ვადევნებდი ჩვენი ქვეყნის უძლიერეს მოჭადრაკეთა თამაშს. უცებ არაჩვეულებრივ ბედნიერად ვიგრძენ თავი. ჩემი ცხოვრების მანძილზე რამდენი გამოჩენილი მოჭადრაკე მინახავს და რამდენს ვხედავ ახლა!

გაიშალა მოგონებები. მოგონებები შორეული წარსულის, როცა მე ჭადრაკის დაფასთან ვხვდებოდი ლასკერსა და კაპაბლანკას, ალიოხინსა და ეივეს.

ყველას ხომ არ შეხვედრია ასეთი ბედი, რომ ეთამაშოს ექვს მსოფლიო ჩემპიონთან. მე კი მითამაშნია. და რატომ მარტო ექვსთან? აი, აქ რუსთაველის თეატრის სცენაზე დაფებს რომ დასცქერიან, არ არიან ხვალინდელი ან მომავალი მსოფლიო ჩემპიონები? მაშასადამე, მოთამაშე მსოფლიო ჩემპიონების ძვირფას „სიას“ ოდესლაც (შეიძლება სულ მალე) მიემატება ახალი სახელები.

აი ფიცხლად წამოდგა და გაშორდა თავის დაფას ტალი — გაშორდა და დატრიალდა სცენაზე. როგორ ცოცხლად მაგონებს იგი ამ დროს ალიოხინს. დაფაზე არსებული პოზიციაც წმინდა „ალიოხინისებურია“. ტალი ახორციელებს შორეულ, ერთის დანახვით შეუმჩნეველ კომბინაციას. ალიოხინსაც ჰქონდა ჩვეულება ტრიალა მაგიდის ირგვლივ, მაშინ როცა იგი ჩაიფიქრებდა რაიმე საინტერესოს. ტალიც ამ წუთებში აშკარად მოგაგონებთ ალიოხინს.

პეტროსიანს არცთუ უსაფუძვლოდ ეძახიან „თანამედროვე კაპაბლანკას“. აი ახლაც ვუთვალთვალებ მის პარტიაში ბრძოლების მსვლელობას და ჩემს თვალწინ დგება სახელგანთქმული კუბელის სახე.

როგორ ზუსტად შეაფასა პეტროსიანმა შექმნილი მდგომარეობა. კაპაბლანკა ძალზე კმაყოფილი დარჩებოდა მისი ღრმა მანევრებით.

ბრონშტეინი ჩემპიონატში წარუმატებლად გამოვიდა, მაგრამ ვინ არ იცის ამ საუცხოო მოჭადრაკის ნამდვილი ძალა. მის შემოქმედებას, თამაშის მანერას, აგრეთვე, ერთ-ერთ მსოფლიო ჩემპიონთან, გენიალურ ლასკერთან აქვს რაღაც საერთო.

ტალი არასოდეს არ იცნობდა ალიოხინს და არც შეიძლებოდა ცნობოდა მას იგი. არც პეტროსიანი — კაპაბლანკას, ბრონშტეინი — ლასკერს. მე მართლაც ბედნიერი ვარ, რადგან არა თუ ვიცნობდი, კიდევაც მითამაშნია მათთან.

ამიტომ მინდა გავუზიარო მკითხველებს ჩემი მოგონებები იმ მოჭადრაკეებზე, რომლებსაც ეკუთვნოდათ და ეკუთვნით ჭადრაკის გვირგვინი.

* * *

ჭადრაკის თამაში დავიწყე მოულოდნელად. მე და ჩემი მეგობარი ვაპირებდით ავსტრიისა და უნგრეთის ფეხბურთელთა მატჩზე წასვლას. მაგრამ იგი გართული იყო ჭადრაკის თამაშით და თავი ვეღარ დაენებებია. დიდხანს ვუყურებდი, ბოლოს ვეღარ მოვითმინე და ფიგურები ავრიე. მეგობარი გამინაწყენდა და მითხრა რომ ვერც კი წარმოგიდგენია რა შესანიშნავი თამაშია ჭადრაკიო. მალე ჩვენს შორის „დიპლომატიური“ ურთიერთობა აღდგენილ იქნა და დავიწყე ჭადრაკის თამაშის სწავლა.

ცოტა დრო გავიდა და მოწაფემ ვაჯობე მასწავლებელს. მალე ჩემი კოლეგების — უმუშევარი თერძების მცირე ტურნირში გამარჯვებული გამოვედი. ასე დაიწყო ჩემი „საჭადრაკო კარიერა“.

მაშინდელ უნგრეთში (როგორც, საერთოდ, საზღვარგარეთ) ჭადრაკის თამაში შეიძლებოდა კაფეში, სადაც ახალბედებს „პროფესიონალებთან“ თამაშისათვის უნდა შეეტანათ განსაზღვრული გადასახადი. პროფესიულ მოჭადრაკეების ცხოვრება მძიმე იყო. ისინი ცხოვრობდნენ შემთხვევითი შემოსავლით. ნიჭიერმა ოსტატმა ცინერმა ცხოვრება თვითმკვლელობით დაამთავრა. ოსტატი შტერკი მოკვდა სიღარიბეში. მარტო გროსმეისტერი გეზა მაროცი, რომელსაც მაშინ დიდი სახელი ჰქონდა მოხვეჭილი, ილებდა მიწვევას საერთაშორისო ტურნირებზე და, ალბათ, ცუდად არ ცხოვრობდა.

მალე ნამდვილ ტურნირში, სადაც პირველთანრიგოსანი მოჭადრაკეები

ნამდვილ ბრძოლის ველს გავდა რუსთაველის სახელობის თეატრის სცენა, სადაც ერთმანეთს შეხვდებოდნენ ჩვენი ქვეყნის საჭადრაკო ხელოვნების სტრატეგები.



საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.

თამაშობდ ენ, მე დავიკავე უკანასკნელი ადგილი. მაგრამ ამაზე უფრო იმან დამალონა რომ უმუშევარი გავხდი და „ბედის საძიებლად“ წავედი ვენაში. აქ ერთხელ ქუჩაში ხეტიალის დროს წავიკითხე აფიშა, რომელიც ამცნობდა რომ ერთ მაღალი კლასის სასტუმროში ერთდროულ სეანს ჩაატარებდა სახელგანთქმული კაპაბლანკა, მაშინ (ეს იყო 1928 წ.) უკვე ექსჩემპიონი.

ძალზე მომინდა ერთდროულ სეანსში მონაწილეობის მიღება. დიდის ვაივაგლახით „შევაკოწიწე“ საჭირო 10 შილინგი, რომელიც მე მომცემდა კაპაბლანკასთან შებრძოლების უფლებას. ისე ვღელავდი, თითქო პარტიას ვთამაშობდი სადღაც ბურუსში. მახსენდება ჩამოსხმული ფიგურა ლამაზი, შავგვრემანი მამაკაცისა, რომელიც ელვისებური სისწრაფით გადადიოდა ერთი მაგიდიდან მეორეზე. რაღაც სასწაულით მოვახერხე ორ პაიკში მისთვის ფიგურა მომეგო. აი, უკვე ყველამ დაასრულა თამაში. მე კი ვაჩერებდი მსოფლიოს ექსჩემპიონს. ბოლოს ველარ გამიძლო ნერვებმა და ყაიმი შევთავაზე, რაზედაც კაპაბლანკა მაშინვე დამთანხმდა.

ერთი წლის შემდეგ ისევ სამუშაოს საძებნელად ბედმა ბერლინში შემაგდო. ხშირად ვაკითხავდი ხოლმე კაფე „კენინგს“. ამ კაფეში მუდმივად იკრიბებოდნენ მოჭადრაკეები, რომელთა შორის შეიძლება შეგხვედროდა ისეთი გამოჩენილი მაესტრო, როგორიც ნიმცოვიჩი იყო.

სწორედ ამ კაფეში ვნახე პირველად ლასკერი. უნდა ითქვას რომ ლასკერი იმ დროს არაჩვეულებრივი პოპულარობით სარგებლობდა გერმანიაში. თითქმის ყოველ კაფეში ეკიდა მისი პორტრეტი. ამიტომ როცა დავინახე მისი პროფილი ყბადაღებული სიგარით, რომელზედაც ამბობდნენ რომ არ იშორებს ძილშიაც კი, მაშინვე ვიცან უდიდესი მოჭადრაკე.

„კენინგშივე“ შევხვდი პირველად მსოფლიო ჩემპიონს ალიოხინსაც. ბოგოლიუბოვთან ერთად იგი გამოდიოდა ალტერნატიულ სეანსზე 60 დაფაზე. ალიოხინი თითქმის არც ფიქრობდა ისე გადადიოდა ერთი მაგიდიდან მეორეზე. დამძიმებული, უკვე ლიპიანი ბოგოლიუბოვი . თავის კოლეგას ქშენით ძლივს ეწეოდა. ხანდახან, ეცნობოდა რა, ბოგოლიუბოვის მორიგ სვლას ალიოხინი ნაწყენი გადააქნევდა თავს. მიუხედავად ამისა სეანსიორების გამოსვლა კარგად დასრულდა. მეც კმაყოფილი დავრჩი. თუმცა ამჯერად მონაწილეობისათვის ველარ შევაგროვე საკმაო თანხა, მაგრამ ერთი ხანში შესული მანდილოსნის საიდუმლო თანაშემწის სახით, მაინც მოვახერხე სეანსში მონაწილეობის მიღება — ჩვენ შევძელით პარტიის გაყაიმება, რამაც სეანსიონერებში ერთგვარი გაკვირვება გამოიწვია, რადგან ამ დაფაზე რამდენამე სერიოზულ წინააღმდეგობას არ მოელოდნენ.

1929 წელს ჩავედი პარიზში. ახლა უკვე სამუდამოდ ვიყავ „დაავადმყოფებული“ ჭადრაკის სიყვარულით, ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ ადგილი, სადაც მე თავდაპირველად მივედი კაფე „დე ლა რეჟანსი“ იყო. ეს იყო დედაქალაქის თავისებური საჭადრაკო კლუბი, თუმცა აქ არა მარტო ჭადრაკს, ისე როგორც სხვა კლუბებში, კარტსაც თამაშობდნენ.

პარიზში საბოლოოდ უარი ვთქვი მკერავობაზე და დავიწყე პროფესიულ-მოჭადრაკის მოუსვენარი ცხოვრება.

კაფე „დე ლა რეჟანსში“ არა იშვიათად შემოდიოდა ალიოხინი. მაგრამ თითქმის არასოდეს არ უთამაშნია იქ. ამიტომ საშინლად განვცვიფრდი, როცა ალიოხინმა შემომთავაზა მეთამაშნა მასთან ოთხი იოლი პარტია. ალბათ, არასოდეს ჩემს ცხოვრებაში არც მანამდე, არც ამის შემდეგ არ მითამაშნია ასეთი მონდომებით. ალიოხინი კი, გასაგებია, ამ ჩვენს შეხვედრას სულ სხვანაირად უცქეროდა. ამიტომ შევძელი წამეგო ერთი და მომეგო სამი პარტია. მაშინ მსოფლიო ჩემპიონმა შემომთავაზა გვეთამაშნა კიდევ ოთხი პარტია. მისი ტონი და გამოხედვა ჩემთვის ნათელს ხდიდა, რომ ამჯერად იგი თამაშს სხვანაირად მიუდგებოდა. და მე... უარი ვუთხარი. საბაბი მოვძებნე ფრიად „საპატიო“.

—მაპატიეთ დოქტორო, (ასე ეძახდა ალიოხინს ყველა) — ვუთხარი, მე დამნაშავის ტონით — მაგრამ ძალიან მინდოდა მეხსიერებაში შემენახა დღე, როცა მე დავამარცხე დაუმარცხებელი ალიოხინი.

ჩემმა „დიპლომატიურმა“ სვლამ იმოქმედა. ალიოხინს გაეღიმა და ადგა მაგიდიდან.

ერთხელ პალე როიალის საჭადრაკო პავილიონში, სადაც სხვადასხვა სახის შეჯიბრებები ხშირად იმართებოდა, უნდა ჩატარებულიყო ბლიცტურნირი. მეც მიმიწვიეს მონაწილეობისათვის, მაგრამ ჩემი ფინანსიური საქმეები ისეთ მდგომარეობაში იყო, რომ ვერ შევძელი საჭირო 25 ფრანკი შემეტანა. მაყურებელთა შორის მყოფმა ალიოხინმა გამიწია დახმარება და ჩემ მაგიერ შეიტანა გადასახადი. როცა თქვენ მაგიერ ფული შეაქვს მსოფლიო ჩემპიონს, თქვენ უნდა ითამაშოთ მხოლოდ ბრწყინვალედ. თუმცა ტურნირში მონაწილეობდნენ საკმაოდ ძლიერი ფრანგი ოსტატები: მე სხვა გამოსავალი არ დამრჩენოდა, უნდა ამეღო პირველი პრიზი. გახარებულმა მოვძებნე ალიოხინი და ვცდილობდი მისთვის დამებრუნებინა ვალი. მაგრამ მან ფულის აღებაზე კატეგორიული უარი განაცხადა და მითხრა:

— დამიბრუნებთ, როცა ოსტატი გახდებით.

რამდენიმე წლის შემდეგ პარიზში მე ისევ ვნახე ლასკერი. დიდ მოჭადრაკეს მოუხდა გერმანიის დატოვება, სადაც ხელისუფლების სათავეში ჰიტლერი ჩადგა. ლასკერი სევდიანი იყო. მე მესმოდა მისი. იოლი ხომ არ იყო მოხუცებულ კაცს მთელ ევროპაში ეხეტიალა.

ლასკერს იმდენად უყვარდა ჭადრაკი, რომ შეეძლო გაჩუმებულს საათობით ეცქირნა არცთუ ისე ძლიერ მოყვარულთა თამაშისათვისაც კი. ერთხელ იგი იჯდა ჩემ მაგიდასთან ახლოს. მე მოვინდომე კარგი სვლის გაკეთება. ამიტომ ერთი სვლის გაკეთებაზე იმდენი ვიფიქრე, რომ დიდად მომთმენმა ლასკერმაც ველარ აიტანა და სხვა მაგიდასთან გადავიდა სათვალთვალოდ.

1934 წლის დასასრულს ჰასტინგსის ტურნირში პირველად შევხვდი იმ ადამიანს, რომელთანაც ალიოხინი სიკვდილის წინ მატჩზე შეთანხმდა. ეს მიხეილ ბოტვინიკი იყო. იგი იმ დროს უკვე დებიუტების შეუდარებელ მცოდნედ და ბრწყინვალე სტრატეგად ითვლებოდა. მასთან თამაშში ძლივს დავაღწიე თავი დამარცხებას.

ბოტვინიკმა შემატყობინა, რომ განზრახული აქვთ ჩემი მიწვევა მოსკოვში საერთაშორისო ტურნირზე. ამ ცნობამ ძალზე გამახარა. საქმე იმაშია, რომ მე მოსკოვში დავიბადე და იქ ვცხოვრობდი ორი წელი. ერთი სიტყვით, მე ძალზე მინდოდა მენახა ჩემი სამშობლო.

ჩქარა ბოტვინიკმა სახელი გაითქვა მთელ მსოფლიოში. მისმა ბრწყინვალე გამოსვლებმა მოსკოვისა (1935 წ.) და ნოტინგემის (1936წ.) საერთაშორისო ტურნირებში მას დამსახურებული დიდება მიანიჭეს. უკვე მაშინ მრავალი წინასწარმეტყველებდა რომ ბოტვინიკი — მსოფლიოს მომავალი ჩემპიონია. ეს პროგნოზები მთლიანად გამართლდა.

შემდეგ, მე არა ერთხელ შევხვედრივარ მიხეილ ბოტვინიკს და უნდა ვთქვა, რომ იგი მსოფლიო ჩემპიონთა შორის ყველაზე ნებისყოფიანი ადამიანია. ბოტვინიკი არა მარტო გამოჩენილი მოჭადრაკეა, იგი ნამდვილი დიდი მეცნიერია, რომელიც მეცნიერულ მუშაობას ბევრ დროს ანდომებს. საინტერესოა აქვე აღვნიშნოთ რომ არც ერთი მსოფლიო ჩემპიონი ფაქტიურად არ იყო პროფესიონალიზმის ვიწრო ჩარჩოებში მომწყვდეული. ალიოხინი იყო შესანიშნავი იურისტი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, ლასკერი — ფილოსოფიისა და მათემატიკის დოქტორი, კაპაბლანკა — კარგი დიპლომატი, ბოტვინიკი — ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, სმისლოვი — მომღერალი, ეივე დღესაც მათემატიკის მასწავლებელია.

ეივეს გავეცანი 1934 წელს ჰასტინგსის ტურნირზე, სადაც მე მოვუგე კაპაბლანკას. ეივე მეტად თავისებური კაცია. თავისი ნიჭით იგი ჩამოუვარდებოდა მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკეებს, მაგრამ სჯობდა მრავალ მათგანს ოლიმპიური სიმშვიდით, გაუგონარი ჯანმრთელობით, ნამდვილი სპორტული მომზადებით. ალიოხინთან მატჩის წინ ეივე კროვში ვარჯიშობდა.

1935 წელს ამისრულდა ოცნება — მე ჩამოვედი მოსკოვში. აქ არა ერთხელ მითამაშნია ლასკერთან და კაპაბლანკასთან ორივე საერთაშორისო ტურნირში (1935 და 1936 წ. წ.).

არასოდეს არ დამავიწყდება ის, რაც შემემთხვა მოსკოვისაკენ მგზავრობისას. მინსკში დიდი ამბით შემხვდნენ ამ ქალაქის ჭადრაკის მოყვარულები და მთხოვეს ერთდროული სეანსების ჩასატარებლად ერთი დღე დავრჩენილიყავი. მეც დავეთანხმე. სეანსი დიდხანს მიმდინარეობდა. რეზულტატი ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ მე მგონია, იგი რომ კარგი ყოფილიყო უსათუოდ დამრჩებოდა მეხსიერებაში. ეს იყო რიგითი საბჭოთა მოჭადრაკეებთან პირველი გაცნობა და ამან უცბად დამაჯერა, რომ ჭადრაკი, საბჭოთა კავშირში განსაკუთრებულად საყვარელი და პოპულარულია.

მოსკოვში პირველად ვეთამაშე ლასკერს. მასთან რამდენიმე პარტიის თამაში მომიხდა. უკანასკნელ პარტიაში ჩემი პოზიცია ცოტათი უკეთესი იყო.

ერთ-ერთ მომენტის დროს, როცა მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი ცუდ მდგომარეობაში იყო, ვილაც მაყურებელი მივიდა ჩემ მეუღლესთან, რომელიც ლასკერის მეუღლის გვერდით იჯდა და ესაუბრებოდა მას. ფრაუ მარტა — ლასკერის მეუღლე ჩვეულებისამებრ რაღაცას ქსოვდა.

— თქვენ იცით რომ ლილიენტალი მოგებას აპირებს? — თქვა მაყურებელმა.

— რას ამბობთ, იგი თავს ნებას არ მისცემს მოუგოს ასეთს საუცხოო ადამიანს — მიუგო ჩემმა ცოლმა. საუბედუროდ, ცოლები ქმრების საქმეებში ხშირად ცდებიან. პარტია ლოგიკურ დაბოლოვებამდე მივიყვანე, თუმცა გულახდილად უნდა ვთქვა, რომ ამან დიდად ვერ მასიამოვნა.

ახლა მე დამრჩა გიამბოთ კიდევ ერთ მსოფლიო ჩემპიონზე — ვასილ სმისლოვზე. ჩვენ პირველად შევხვდით 1937 წელს, როცა მე მოსკოვის პიონერთა სახლში ერთდროული სეანსი ჩავატარე. ამ ბიჭის თამაშმა მაშინ ჩემზე დიდი შთაბეჭდილება დასტოვა, მაგრამ ჩქარა გადამავიწყდა იგი.

ჩემს განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ორი წლის შემდეგ ეს „ბიჭი“ იჯდა ჩემს პირდაპირ დაფასთან მოსკოვის ჩემპიონატის უკანასკნელ ტურის დროს.

მე პირველ ადგილზე ვიყავ და სასიამოვნო... საკმარისი იყო ყაიმი, რომ მიმეღო „გულშემატკივრებისაგან“ წინასწარ მომზადებული ყვავილების თაიგული. ჩემი მოწინააღმდეგე თამაშობდა ბრწყინვალედ. პარტია წავაგე და თაიგული ერგო სმისლოვს, რომელმაც მოიპოვა დედაქალაქის ჩემპიონობა.

1957 წელს ორთა ბრძოლაში სმისლოვმა სძლია რა მსოფლიო ჩემპიონს, მოიპოვა „საჭადრაკო გვირგვინი“.

* * *

და აი ჩვენ ისევ რუსთაველის სახელობის დარბაზში ვართ. პეტროსიანი, ტალი, სპასკი... ვიგონებ რა მსოფლიო ჩემპიონებთან შეხვედრას, განსაკუთრებით სასიამოვნოდ ვუთვალთვალებ იმათ თამაშს, რომლებიც აგრძელებენ რა „წინაპრების“ ბრწყინვალე გზას, საჭადრაკო ხელოვნებაში თვითონ გაჰყავთ ახალი გზები.

# იქ, სადაც დაიბადა ი. გოგებაშვილი

გორის რაიონის სოფელი ვარიანი ცნობილია იმით, რომ აქ დაიბადა იაკობ სიმონის-ძე გოგებაშვილი.

სოფლის ცენტრში საამურად ამოჩქეფს ანკარა წყარო. აქვე ჩრდილოეთისაკენ პირმიქცეული დგას ერთსართულიანი ქვიტკირის შენობა, სადაც დაიბადა და ბავშვობის წლები გაატარა დიდმა პედაგოგმა და საზოგადო მოღვაწემ ი. ს. გოგებაშვილმა.

ამ შენობაში 1954 წლამდე მოთავსებული იყო საშუალო სკოლა. 1954 წლის პირველი სექტემბრიდან კი სკოლა მოთავსებული იქნა ახლად აგებულ ორსართულიან შენობაში, რომელიც ი. გოგებაშვილის სახელს ატარებს.

1957 წლის ბოლოს დაიწყო ი. გოგებაშვილის სახლის რესტავრაცია, მისი მუზეუმად გადაკეთების მიზნით.

ამ კეთილშობილურ საქმიანობაში, რომელსაც ხელმძღვანელობდა ინჟინერი დ. ჯავახიშვილი, აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ სოფლის მშრომელები.

ლ. ვარდანაშვილი

სურათზე: ი. გოგებაშვილის სახლ-მუზეუმი.

ფოტო ი. მღებრიშვილისა





ეროვნული ბიბლიოთეკა

მას შემდეგ, რაც ჩვენი ქვეყნის კინოეკრანებზე წარმატება ხვდა კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ერთ-ერთ საუკეთესო სურათს „სხვის შვილებს“, ნატოს როლის შემსრულებელმა ახალგაზრდა მსახიობმა ციცინო ციციშვილმა განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია კინოხელოვანთა შორის.

ამას წინათ, ციცინოს წერილი მოუვიდა ტატიანა სამოილოვასაგან, წერილთან ერთად ცნობილმა კინომსახიობმა თავისი სურათიც გამოუგზავნა ქართველ კოლეგას სამახსოვრო წარწერით.

„მინდა მოგწეროთ რამდენიმე სიტყვა, — სწერს ტატიანა. — ისე მოხდა, რომ თქვენი მოსკოვში ყოფნისას ჩვენ ვერ შევხვდით ერთმანეთს. სამაგიეროდ მე თქვენ შეგხვდით ეკრანზე. „სხვისი შვილები“ ძალიან საინტერესო ფილმია. ეს სანახევროდ თქვენი „ბრალიცაა“.

თქვენი გმირი ქალი კეთილი, ძლიერი და უშუალოა. მხურვალედ გილოცავთ ამ გამარჯვებას. მიხარია, რომ „წეროები“ მარტონი აღარ არიან.

გილოცავთ წარმატებებს

პატივისცემით ტანია“.

# სათუთი მოგონებანი

— ამ სიძნელეებს თუ დაძლევთ, მაშინ ხართ ვაჟკაცი, ბატონო ალექსანდრე, თორემ ქართული ანდაზა მომისმენია, მწიფე მსხლის ძირში ყველა კარგი ბიჭიაო, — თმაჭაღარა, კეთილი გამომეტყველების კაცმა ტკბილად გაუღიმა თავის პატარა მეგობარს და ბარათი გაუწოდა:

— ამას მიართმევთ ჩემი სახელით. ჰუგო შუხარდტი ძალიან კეთილი, ქართველების დიდი მოსიყვარულე და პატივისმცემელია.

უბიდან სურათი ამოიღო, მაგიდაზე დაიხარა და გერმანულად წააწერა: „ბატონ ალექსანდრე ბეშკენაძეს მეგობრული მოგონებისათვის, ჩემი საუკეთესო სურვილებით. არტურ ლაისტი“.

არტურ ლაისტმა ერთხელ კიდევ შეათვალიერა მტკიცე გამომეტყველების ქართველი ჭაბუკი, მხარზე დაკრა ხელი და უთხრა:

—ყოველმხრივ დაგეხმარებით. დანარჩენი თქვენ იცით.

— გმადლობთ, ბატონო არტურ!

* * *

რამდენი ხანი გავიდა მას შემდეგ. ალექსანდრე კი დღესაც სათუთად ატარებს არტურ ლაისტის ნაჩუქარ სურათს, ნათელ ხსოვნას და სიყვარულს. და დილით, მზის ამოსვლამდე, ანდა მოგვიანებით სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში რომ შეაბიჯებს მხცოვანი პედაგოგი, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი ალექსანდრე ბეშკენაძე, არტურ ლაისტის სახე დაუდგება თვალწინ: „შენ ნამდვილი პედაგოგი იქნები და ამისთვის უნდა იბრძოლო აუცილებლად“. მართლაც, საუკუნის სამი მეოთხედი აუზიდავს ამ ჩია ტანის თმაშევერცხლილ მოხუცს. თითქმის ნახევარი საუკუნე გაუტარებია მომავალ თაობაზე ზრუნვაში და ვერ შელევია თავის საყვარელ პროფესიას.

ფიქრებში წასულს ზარი იწვევს აუდიტორიაში ლექციის წასაკითხად. საღამოს ისევ ტოვებს უნივერსიტეტის სიცოცხლით სავსე, ხმაურიან ეზოს. დღე იფერფლება.

ალექსანდრე ბეშკენაძეს კი კვლავ აწვალებს ფიქრები. მაღალჭერიან, ფართო და ნათელ ოთახში მხოლოდ ის და მისი საწერ-კალამი ფხიზლობენ — იწერება გერმანულ-ქართული ლექსიკონი. იძებნება ნეოლოგიზმები ქართულში, რუსულში, გერმანულში. მაგიდას მიჯდომია ალექსანდრე და მეხსიერების დაწერილ თუ დაუწერელ სტრიქონებში აქსოვს ცხოვრების გრძელ გზაზე შემხვედრ თუ დამხმარე ყველა კეთილი ადამიანის სახეს. აი, წინა პლანზეა ალექსანდრე ბეშკენაძის საყვარელი მხცოვანი აღმზრდელების ცოლ-ქმარი მირზაშვილების საკმაოდ ცნობილი კერძო პანსიონი, სადაც ორ გაზაფხულს შეეგება ის. აქ გადაშალა პირველად იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ და „ბუნების კარი“. ისწავლა წერა-კითხვა, ანგარიში...

მირზაშვილების გვერდით გიმნაზიის მასწავლებლების მთელი პლეადაა — ექვთიმე თაყაიშვილი, ალექსანდრე ნათაძე, რაჟდენ ჯაჯანაშვილი, გიორგი იოსელიანი, შიო ჩიტაძე...

ისევ მოგონებების მთელი ჯაჭვი:

გიმნაზიის დიდი სააქტო დარბაზი მაყურებლებითაა სავსე. წინა სკამებზე სხედან გიმნაზიის დამხმარე კომიტეტის წევრები—ილია, აკაკი, მარიამ ვახტანგის ასული. ნიკო ცხვედაძე. იაკობ გოგებაშვილი, არტურ ლაისტი...

მორიგი საღამო-კონცერტი აქვთ გიმნაზიის მოსწავლეებს. გუნდს ზაქარია ფალიაშვილი ხელმძღვანელობს.

ღელავს ალექსანდრე — კონცერტი უნდა წაიყვანოს. ჰქუხს ქართული სიმღერები. იხიბლება არტურ ლაისტი. ტკბებიან ილია. აკაკი, იაკობ გოგებაშვილი.

გულთბილად, მეტად გულთბილად მიიღო ალექსანდრე ბეშკენაძე ჰუგო შუხარდტმა, გააცნო გრაცის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, მის მიერ შექმნილი ქართული ენის შემსწავლელი სტუდენტების ჯგუფი.

თავის მხრივ ჰუგო შუხარდტიც დიდი კმაყოფილი დარჩა, ცოცხალ ქართველთან საუბრის საშუალება რომ მიეცა, დაწვრილებით რომ გაიგო ქართველი მეგობრების ცხოვრება.

ძალიან სწუხდა შუხარდტი, რამდენჯერ მიიპატიჟეს საქართველოში ილიამ. არტურ ლაისტმა. მისთვისაც კარგი იყო აქ ჩამოსვლა — ნახავდა იმ ქვეყანას, რომელიც მხოლოდ წიგნებით შეისწავლა, შეამოწმებდა ქართული ენის შესახებ საკუთარ მოსაზრებებს, მაგრამ არ მოხერხდა.

— ქართველებს მომხიბვლელი ცეკვები და სიმღერები გაქვთ. — ესაუბრებოდა ჰუგო შუხარდტი ალექსანდრეს, თქვენ სტუმრის მეფური გამასპინძლება იცით...

შუხარდტი, მაშინ უკვე 80 წელს გადაცილებული. ისე საუბრობდა ალექსანდრესთან, ისე დასეირნობდა ქუჩაში, თითქოს მისი ტოლი და მეგობარი იყო.

შუხარდტმა მრავალი ძვირფასი წიგნი აჩუქა. მათ შორის თავისი შრომებიც, უმთავრესად ქართული ენის შესახებ. ზოგ მათგანს მეცნიერის ქართული წარწერა ამშვენებს.

— მართლაც, რა საყვარელი ყოფილა პედაგოგის პროფესია: არც დაღლა ცოდნია და არც დაბერება! — ამბობს მხცოვანი პედაგოგი ალექსანდრე ბეშკენაძე და კვლავ თვალწინ უდგება თავისი ცხოვრების მეგობრების ნათელი სახეები.

რ. ჩიჩუა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოეთის ჰუმორი

* * *

— რა დაგემართათ? — ჰკითხეს ერთ გამვლელს, რომელიც გაფითრებულიყო.

— ზურგით ვიჯექი ტრამვაიში, ამას კი მე ვერ ვიტან, — უპასუხა მან.

— კი, მაგრამ ამდგარიყავი და ადგილი გაგეცვალა, ვინც თქვენს წინ იჯდა.

— საქმეც იმაშია, რომ ჩემს წინ არავინ იჯდა.

* * *

— წარმოგიდგენიათ, ლექციაზე მოვისმინე, რომ სინათლე მიჰქრის სეკუნდში სამასი ათასი კილომეტრის სისწრაფით!

— მაგაზე საკვირველი ის უფროა, რომ არ ქრება ასეთი დიდი სიჩქარისას.

* * *

მღებავმა სახლს კიბე მიადგა, ზედ ავიდა და კედელზე დაწერა: „წყლის დონე 1888 წლის წყალდიდობისას“. ერთი გამვლელი შეჩერდა და ჰკითხა:

— ნუთუ ასე მაღლა იდგა წყალი?

— არა, — უპასუხა მღებავმა, — წყლის დონე გაცილებით დაბალი იყო, მაგრამ, როცა იქ ვაწერ, ბავშვები შლიან ხოლმე.

* * *

ლექციაზე, რომელიც საპლანეტთაშორისო კავშირს ეხებოდა, ერთმა მსმენელმა იკითხა:

— თუ კი მარსზე გონიერი არსებები ცხოვრობენ, შეუძლიათ თუ არა მათ ჩვენი რადიო-გადაცემების დაჭერა?

— რა თქმა უნდა, არა, — უპასუხა მეორე მსმენელმა, — მათ რადიომიმღებს არავითარ შემთხვევაში არ ექნება დამიწება, იქ ხომ მიწა არ არის, მარსია.

* * *

— თქვენი წერილი ძალიან მძიმეა, — უთხრა ფოსტის მსახურმა წერილის გამგზავნელს, — კიდევ ერთი მარკა უნდა დავაწებოო ზედ.

— კი მაგრამ, რომ დააწებოთ, ხომ უფრო დამძიმდება.

* * *

— ძალიან ვღელავ, ექიმო, — თქვა საოპერაციო მაგიდაზე გაწოლილმა ავადმყოფმა, — ეს ჩემთვის პირველი ოპერაციაა.

— ნუ გეშინია, — უპასუხა ექიმმა, — ეს ჩემთვისაც პირველი ოპერაციაა.







კარიკატურები ამოღებულია „ლუმანიტე დიმანშიდან“




ნახატი ზ. ლენგრენისა

გარეკანის პირველ გვერდზე: მცხეთა, გაზაფხული მ. მამულაშვილის ბაღში.

ფერადი ფოტო მ. მიხაილოვისა

მეოთხე გვერდზე: ქ. თბილისი, ნ. ბარათაშვილის აღმართი.

ფერადი ფოტო მ. მიხაილოვისა

რედაქტორი გრ. აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია: შ. გვინჩიძე (პ/მგ. მდივანი), ი. გიგინეიშვილი, ს. დურმიშიძე, მ. საკაშვილი, ი. ტაბაღუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | მხატვარი-რედაქტორი ზ. ლეჟავა ტექრედაქტორი დ. სეფიაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, IV სართ. ტელ. — რედაქტორის და პ/მგ. მდივნის — 3-52-69, განყოფილებების — 3-95-38

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 3 მან. გარეკანი და ჩანართი გვერდები დაბეჭდილია ფოტოცინკოგრაფიაში.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 7/IV-59 წ. გამომც. № 36. ქაღ. ზომა 70×108¹/₈. 1,5 ქაღ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. ტირაჟი 30.000. შეკ. № 232, უე 02406

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პ/კ „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.



ელექტრონული ბიბლიოთეკა

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოქსო-ქიმიური საამქრო

ფოტო თარხან არჩვაძის



ეროვნული
ბიბლიოთეკა